# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 30 აგვისტო. 2017 წ. №174 (8311), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.




## ყოველივე ამას საბოტაჟის სუნი ასდის!

3

ნუგზარ ფოფხაძე:
მორიგი ალიყური

## ამერიკა-ნატო მოახერხებს რუსეთის დამონება-დაჩოქებას?!

5

ადლურ არძინბა:

## მხოლოდ შეშლილი თუ იფიქრებს აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებაზე

7

## კრიმინალს დეპრესიული ფონი და აგრესიული გარემო კვებავს

6



## „წინ სტუდენტობა იჩქარის, მძებნელი გზის და გზის!..“

8

## ბოლო 6 თვეში არასრულწლოვნებმა 107 დანაშაული ჩაიდინეს!

**საქსტატის მონაცემების თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოებში არასრულწლოვანი პირების მიერ ჩადენილ დანაშაულთა 107 საქმე განიხილეს. ამ საქმეებიდან მოსამართლეებმა თავისუფლების აღკვეთის გადაწყვეტილება 31 საქმის შემთხვევაში მიიღეს.**

მონაცემების მიხედვით, სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა დიდი ნაწილი ქურდობას შეეხებოდა, ასევე იყო განზრახ მკვლელობის 2 და სხეულის დაზიანების 4 საქმე.

**2017 წლის ივნისის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 15 არასრულწლოვნის მიმართ. აქედან 13,3% (2 პირი) მოდის პირებზე, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს გამოსაცდელი ვადის გასვლამდე. ამასთან, არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა 8 შემთხვევაში ქურდობის, ყაჩაღობა — 3, ძარცვა — 2, თაღლითობა — 1 ბრალდებით დაიწყო. 2017 წლის ივნისის თვეში დევნა შეწყდა 9 არასრულწლოვნის მიმართ.**



## ცხინვალში რუსული მართლმადიდებლური ეკლესია გაიხსნება!

**ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდის წევრი, ვლადიკავკაზისა და ალანიის ეპისკოპოსი, მეუფე ლეონიდი იმყოფება. ლეონიდი საოკუპაციო რეჟიმის ხელმძღვანელს ანატოლი ბიბილოვს შეხვდა.** ეპისკოპისისა და ე.წ. პრეზიდენტის შეხვედრაზე, განხილულ იქნა რუსეთის საპატრიარქოს ეკლესიის მშენებლობის მიმდინარეობის საკითხი. ეკლესიის მშენებლობა ოქტომბრის ბოლოსთვის დასრულდება. ბიბილოვმა ეპისკოპოს ლეონიდეს მადლობა გადაუხადა „იმ ღვწლისთვის, რაც მან ეკლესიის მშენებლობისთვის გაიღო“. თავის მხრივ, რუსეთის საპატრიარქოს წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ეკლესიის მშენებლბაში იღებს მონაწილეობას.

**„ტაძარი 58-ე არმიასთან იარსებებს. ტაძარში ივლიან რუსი სამხედრო მოსამსახურეები, მესაზღვრეები და საელჩოს თანამშრომლები. ტაძრის კარი, რაღა თქმა უნდა, ღია იქნება სამხრეთ ოსეთის ყველა მცხოვრებლისთვის,“** — განაცხადა ეპისკოპოსმა ლეონიდემ ბიბილოვთან შეხვედრისას.

რუსეთის საპატრიარქომ ეკლესიის მშენებლობა ოკუპირებულ ცხინვალში 2016 წელს დაიწყო.

SOS!

12

## 8 ყველაზე არაჯანსაღი პროდუქტი, რომელსაც ყოველდღიურად მივირთმევთ





◎ კარგი ცხოვრება ყველას უნდა

# მერი – ექსკურსიამძღოლი,

## ანუ ვინ უგროვებს ათი ათას ხმას ალეკო ელისაშვილს

**ეს რამდენიმე დღეა, თბილისის მეტროს სადგურებში თეთრმაისურიანი გოგო-ბიჭები დარბიან, მაისურებზე ყველას წარწერა აქვს: „ალეკო — მერად!“ ეს ალეკო ელისაშვილია, რომელიც თავიდან ყასიდად იპრანჭებოდა, არა, ვიფიქრებ, ამხელა ქალაქის გაძღოლას შევძლებ თუ არაო. ეტყობა, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ბოლოს გადაწყვიტა, საცა სოფლის ნახირი, იმ ერთი ბებრის ხბოსი არ იყოს, ჩემი ხბოც იქაო. სხვაზე ნაკლები რითი ვარ, თუ ქალაქს ვერ ავუვედი, თავი ვერ გავართვი, ჩემს ოჯახს ხომ გამოვადგებიო. და უმერობას ისევ მერობა ამჯობინა. მერე რა, რომ მერობას, ანუ თავკაცობას თავი უნდაო, თავით თუ არა, ცხვირით მაინც ბევრს ვჯობივარ და ყველა საქმეში ცხვირის ჩაყოფით მუშაობაც არცრა საქმეზე ნაკლები საქმე არ არისო.**

მაგრამ გასამეორებლად ჩოხამორგებული ალეკო რომ ბჭობდა, საარჩევნო კოდექსის რომელიღაც მუხლი თურმე იცინოდა. რაღა რომელიღაც! მერობის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად დამოუკიდებელ კანდიდატს ათი ათასი ხმა დასჭირდა...

და, აბა, ჰე! დატრიალდა ძმასავით მოსწრებული ცხვირის იმედით გამერების ჟინით შეპყრობილი ალეკოს შტაბი, დატრიალდნენ დღეში ოც-ოც ლარად დაქირავებული უმუშევარი გოგო-ბიჭები, ამვლელსა თუ ჩამვლელს გასაქანს არ აძლევენ, აგერ ქაღალდი და კალმისტარი, იმედია, ელისაშვილისთვის ხმას არ დაინანებთო. ერთი ეგრევე ზურგს მიუშვერს, მეორე იმ ზურგზე უწყისს დაუფენს და მეტროში ჩამსვლელსა თუ მეტროდან ამომსვლელს, თვალის დახამხამებაში კალმისტარს აჩეჩებენ, თქვენი ერთი ხმა, იცოდეთ, თბილისს გადაარჩენს, რადგან ალეკო ელისაშვილისთანა მერი, ჩვენს დედაქალაქს არც ჰყოლია და არც ეყოლებაო...

ამას ეს ახალგაზრდები ნამდვილად მართალს ამბობენ, რადგან, როგორც ჩანს, ბევრს ერთმანეთისგან ვერ გაუნუსხვავებია მერობა და ექსკურსიამძღოლობა, რაც ელისაშვილს ცუდად არ გამოსდის, არადა, მართლაც, სულ ექსკურსიამძღოლი ხომ არ იქნება?!

თუ ეს ათი ათასი ხმა მოგროვდა (ხომ ხედავთ, ჯერ მერი არ გამხდარა და უკვე ასობით ახალგაზრდა დაასაქმა) და არჩევნებშიც გაიმარჯვა, ალეკო ელისაშვილის სახით ახალი ტიპის ქალაქის თავი გვეყოლება — მერი-ექსკურსიამძღოლი...

კი, ბატონო, იყოს მერი-ექსკურსიამძღოლი, თბილისს ბევრი უვიცობისთვის გაუძლია და ამასაც როგორმე გაუძლებს, ყოველ შემთხვევაში, კიდევ ერთ ახალ გამოცდილებას შეიძენს, რაც სამომავლოდ უთუოდ გამოადგება.

მაგრამ საკითხავი აქ ახლა სულ სხვა რამ არის. საიდან, პატივცემულო ჯერჯერობით მარტო ექსკურსიამძღოლო ალეკო ელისაშვილო, პატიოსნების კუნძზე სამეროდ თავდადებულო, შენთვის ათი ათასი ხმის შემგროვებელი ასობით ახალგაზრდის დაქირავების „ხელის ჭუჭყი“? იქნებ ეგ შენი ძმასავით მოსწრებული ცხვირი, სანამ სხვათა საქმეებში ჩაჰყოფდე, ჯერ შენს საკუთარ ფინანსურ შესაძლებლობაში ჩაგეყო!

ისე, აშკარად ცაიტნოტში ხარ. პირველ სექტემბრამდე ორიოდ დღეღა დაგრჩა. როგორც ჩანს, ხმების შემგროვებელთა შტატი სასწრაფოდ უნდა გაზარდო. კაცები ჯანდაბას, ქალებმა მაინც არ დაგჩაგრონ, ინაშვილმა და ხოშტარიამ, ნამეტანი იქნება!

**აბა, ჰე! სპონსორებო, ჯიბეებში კიდევ ერთხელ ჩაიყავით ხელები. თუ გამერდა, ხომ იცით, ელისაშვილი ქალაქელი ბიჭია, ამაგს მტკვარში არ ჩაგიყრით!**

**გურამ წიკლაური**

## 23 პოლიტიკური პარტია ცესკოს ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამაში ჩაერთო

**ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ცესკო) პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებმა საარჩევნო ადმინისტრაციის კიდევ ერთი ინოვაციური პროექტის შესახებ მიიღეს ინფორმაცია.**

ცესკოს თავმჯდომარემ იმ ახალი პროგრამის შესახებ ისაუბრა, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს ელექტრონული საშუალებებით წარმომადგენელთა დანიშვნის შესაძლებლობას აძლევს. პროგრამა არჩევნებში ჩართულ მხარეებს გაუმარტივებს რეგისტრაციის პროცესს, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციას საშუალებას მისცემს, დროულად და ეფექტურად დაამუშაოს და გადაამოწმოს წარდგენილი დოკუმენტაცია. პროექტს ამ ეტაპზე 23 პოლიტიკური პარტია შეუერთდა.

შეხვედრის მონაწილეებს პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს, ასევე მათ შეკითხვებს უპასუხეს სარეგისტრაციო და ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსმა ელისაბედ ველიძემ და საარჩევნო სიების ფორმირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა. ინოვაციური პროგრამის მეშვეობით, პოლიტიკურ პარტიებს საშუალება ეძლევათ ყველა დონის საარჩევნო კომისიაში (ცესკო, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები) წარმომადგენლების დანიშვნა ელექტრონულად, ონლაინ რეჟიმში მოახდინონ. მომხმარებლებისთვის გაიხსნება ელექტრონული სივრცე, სადაც ისინი შეძლებენ განახორციელონ შესაბამისი პროცედურები, მიიღონ ინფორმაცია სიახლეების შესახებ, ჩამოტვირთონ საჭირო დოკუმენტაცია და სამართლებრივი აქტები. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის პროგრამა საპილოტე რეჟიმში იმუშავებს, სამომავლოდ კი რამდენიმე მიმართულებას მოიცავს. ელექტრონული რეგისტრაცია საშუალებას მისცემს პარტიებს, საინიციატივო ჯგუფებს, ადგილობრივ და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, ასევე მედიასაშუალებებს მათთვის საჭირო რეგისტრაციის პროცედურები ონლაინ რეჟიმში გაიარონ.

პროექტი ცესკოს ინიციატივით და ევროპის საბჭოს თანადაფინანსებით განხორციელდა.

## ოპოზიცია ვენეციის კომისიას ერთობლივ მიმართვას უგზავნის

საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით კონსულტაციებს კიდევ ერთხელ გამართავს. ოპოზიციური პარტიების ლიდერები შეიმუშავებენ ერთობლივი მიმართვის ტექსტს, რომელიც ვენეციის კომისიას გაეგზავნება. მიმართვაში მოყვანილი იქნება ის მიზეზები და გარემოებები, რის გამოც მმართველ გუნდთან დიალოგის დაწყება და კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდა. ოპოზიციის მოთხოვნები უცვლელია და ის 2020 წლიდან პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა, ბლოკების საკითხი და პრეზიდენტის პირდაპირი წესის არჩევა:

**„მინდა, საზოგადოებას ძალიან კარგად ესმოდეს, რომ პროპორციული სისტემის გადავადება ამ ქვეყანაში და მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნება, ისევე როგორც პრეზიდენტის პირდაპირი წესის გაუქმება, ფაქტობრივად, უზრუნველყოფს ისეთ პოლიტიკურ და საკონსტიტუციო სისტემას, რომელშიც ყველა მოქალაქე დარჩება სრულიად უსუსური სახელმწიფოს წინაშე,“** — განაცხადა სალომე სამადაშვილმა.

## თეა წულუკიანი: „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავისი ყოფილი მინისტრები დაიბაროს პარტიის ოფისში!



ალბათ, უმჯობესი იქნება, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავისი ყოფილი მინისტრები და უმაღლესი თანამდებობის ის პირები დაიბაროს პარტიის ოფისში და პასუხი მოჰკითხოს, რომლებმაც 2008 წლის ავბედითი ომის დროს ტერიტორიები დაკარგეს — აცხადებს იუსტიციის მინისტრი საგარეო უწყების ხელმძღვანელის მიხეილ ჯანელიძის პარლამენტში დაბარებასთან დაკავშირებით.

**„ხანძრის თემას რაც შეეხება, ხანძრის წინააღმდეგ მებრძოლი კრიზისების მართვის საბჭოს წევრი არ გახლდით, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობდა. შესაბამისად, მეტ-ნაკლებად ნეიტრალური, დისტანციური ხედვა მაქვს. ამ ხედვის პირობებში ვთვლი, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და მთავრობის წევრებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, მაშველებმა და მოქალაქეებმა, ვინც ხანძარს ებრძოდა, მოახერხეს, რომ ადამიანური დანაკლისი არ არის. იქ სოფლებს საფრთხე რაც ემუქრებოდა, თავიდან აცილებული იქნა. ეს სწორედ მთავრობის, პრემიერ-მინისტრისა და თითოეული მაშველის დამსახურებაა. თუ ეს ოპოზიციას არ მოსწონს, მათი პრობლემაა. მეც არ მომწონს, ისევე როგორც ჩვენს საზოგადოებას, რომ სწორედ მათ ოკუპანტს ხელი შეუწყვეს იმაში, რომ მახეში გაბმულიყვნენ და ტერიტორიები დაეკარგათ“,** — განაცხადა წულუკიანმა.

# ხიხანის ციხის აღდგენა საშვილიშვილო საქმეა!

**აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე 28 აგვისტოს სხალთის ხეობას ესტუმრა და მარიამობა რეგიონის მოსახლეობას ხიხანის ციხიდან მიულოცა. ზურაბ პატარაძემ ზღვის დონიდან 2236 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ხიხანის ციხე დაათვალიერა და იქ მიმდინარე არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგებს ადგილზე გაეცნო. აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად ხიხანის ციხეზე იმყოფებოდნენ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს და ხულოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ასევე საქართველოს პარლამენტის წევრი ხულოს მუნიციპალიტეტიდან ანზორ ბოლქვაძე.**

მიუდგომელი კლდის თხემზე აგებული ხიხანის ციხე მე-11-13 საუკუნეებით თარიღდება და მდიდარია ისტორიული წარსულითა და მნიშვნელობით. ციხე მნიშვნელოვან სავაჭრო გზებს აკონტროლებდა: სოფ. თხილვანასა და ბაკოზე გადიოდა საქარავნო გზა ახალციხისკენ, მეორე გზა შავშეთისკენ გადიოდა სოფ. კალოთასა და ჩიხურაზე გავლით, ხოლო სოფ. ხიხაძირის გავლით გზა ახალციხეარტაანიდან ბათუმისკენ მიემართებოდა.

2013 წლიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება ხიხანის ციხის რეაბილიტაცია. სამუშაოების წარმოება ციხის გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით მხოლოდ ზაფხულის თვეებში არის შესაძლებელი. რეაბილიტაცია უკვე ჩაუტარდა ხიხანის ციხის სასახლეს და ციხის ორ კოშკს. სარეაბილიტაციო სამუშაოების პარალელურად დაწყებულია ხიხანის ციხის არქეოლოგიური შესწავლა.



არქეოლოგიური სამუშაოები დაიწყო 2013 წელს და დასრულდება მიმდინარე 2017 წელს. არქეოლოგიური სამუშაოების დასრულების შემდეგ გამოიცემა წიგნი ხიხანის ციხის არქეოლოგიური გათხრების შესახებ. 2018 წლისთვის დაგეგმილია ხიხანის ციხის კიდევ ერთი კოშკის რეაბილიტაცია.

აღსანიშნავია, რომ ისტორიულად ხიხანის ციხეს ფლობდა აბუსერისძეთა ძლიერი ფეოდალური საგვარეულო, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო XIII საუკუნის ცნობილი მწერალი ტბელი აბუსერისძე. 350 მეტრის სიგრძის ციხეს იცავდა ოთხი სწორკუთხა კოშკი და მძლავრი გალავანი.

XIII საუკუნის შემდეგ, აბუსერისძეთა საგვარეულოს დასუსტებასთან ერთად, ხიხანის ციხემ თანდათან დაკარგა თავისი მნიშვნელობა. თუმცა, ციხე XIX საუკუნის დასაწყისშიც ფუნქციონირებდა. 1815 წელს ხიხანის ციხეში გამაგრდა ოსმალთაგან განდგომილი სელიმბეგ ხიმშიაშვილი. ოსმალებმა ციხე ბრძოლით ვერ აიღეს, თუმცა სელიმ ხიმშიაშვილი ღალატით ჩაიგდეს ხელში და თავი მოჰკვეთეს.

## ყოველივე ამას საბოტაჟის სუნი ასდის!

# მორიგი ალიყური



**ზოგჯერ, რატომღაც, მგონია, რომ „ვიღაცბი“ საგანგებოდ ქმნიან ისეთ ვითარებას, რომ მოხდეს ხელისუფლების წამყვანი პირების შესამჩნევი დისკრედიტაცია არა მარტო ჩვენში, არამედ ქვეყნის გარეთაც. იმის შთაბეჭდილებაც მრჩება, რომ დისკრედიტაციას ვინ ჩივის, მიზანმიმართულად მიჰყავთ საქმე არეულობისკენ...**

გაიხსენეთ ნაჩქარევი, გაუთვლელი განცხადებები „ციანიდის საქმესთან“ დაკავშირებით, რის შედეგადაც საზოგადოებრივ ატმოსფეროში დაძაბულობამ პიკს მიაღწია;

ან განცხადებები და კომენტარები ე.წ. ბათუმის არეულობის შესახებ;

ან აზერბაიჯანელი ვითომ ჟურნალისტის ვითომ გატაცების თაობაზე გასაჯაროებული განცხადებები, რომლებშიც ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა;

ანდა, აიღეთ ახსნა-განმარტებები უკრაინისა და საქართველოს შინაგან საქმეთა „მინისტრების“ დადგმულ სატელეფონო სპექტაკლთან დაკავშირებით, რომლის დროსაც „განიხილებოდა“ ექსპრეზიდენტის გადმოცემა-არგადმოცემის საკითხი;

რა თქმა უნდა, ბუნებრივია, ის სიცილ-ხარხარიც, რაც დაბადა კომბლეებზე და ვაშლებზე ბლუკუნმა. მაგრამ ვიცე-პრემიერის ეს ანეკდოტური „მონოლოგები“ დედის ნანასავით ჟღერს იმ სულელურ განცხადებებთან შედარებით, ბოლო სტიქიურ უბედურებასთან რომ არის დაკავშირებული და დახმარებისთვის რუსეთისადმი „მიმართვას“ რომ ეხება.

ჩვენ არაერთგზის მოვისმინეთ დაბეჯითებითი, კატეგორიული განაცხადი, რომ რუსეთისთვის დასახმარებლად სახელმწიფო დონეზე არავის მიუმართავს. კეთილი და პატიოსანი, თუმცა, ეს კიდევ საკითხავია, სწორად მოვიქეცით თუ არა. შემდეგ ნელ-ნელა შემოგვაპარეს ზღაპარი იმის თაობაზე, რომ თურმე ჩვენი თხოვნის საფუძველზე გაეროს მიუმართავს ყველა სახელმწიფოსთვის, მათ შორის რუსეთის ფედერაციისთვის, არიქა, საქართველოში სტიქია მძვინვარებს და მივეშველოთო...

ახლა კი მორცხვი „აღიარება“: კი, მივმართეთო, შვეიცარიის საელჩოში არსებული ჩვენი სექციის მეშვეობითო...

და ეს იძულებითი აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა მარია ზახაროვამ ისეთი ალიყური აჭამა ჩვენს დიპლომატიურ სამსახურს, რომ პანღურს არაფრით ჩამორჩება: „ოფიციალური ნოტა რუსეთის საგარეო უწყებამ მოსკოვში, შვეიცარიის საელჩოს გავლით, ქართველი დიპლომატებისგან მიიღო“.

ამ მაღალჩინოსანმა ქალბატონმა (ანუ რუსეთის სახელმწიფომ) არ გადაყლაპა ის ლანძღვა-გინების რიტორიკა, რითაც სავსე იყო ქართული მედია იმ შესაძლო დახმარებაზე, რაც შეეძლო რუსეთს გაეწია ჩვენთვის ჩვენივე თხოვნის საფუძველზე.

არაფერს არ ცვლის ის გარემოება, რომ ჩვენვე ვთქვით უარი იმ შესაძლო დახმარებაზე, რომელსაც, ვიმეორებ, ჩვენვე ვითხოვდით.

ეს რეპლიკა არ ეხება ამ „ისტორიის“ პოლიტიკურ მხარეს, მის მიზანშეწონილობას, დროულობას, რიტორიკას, თუნდაც, დიპლომატიურ პრაქტიკაში მიღებულ ტონალობის, ტერმინოლოგიის „დეფიციტს“...

არც საგარეო საქმეთა სამინისტროს უსუსურობას ვეხებით ამჯერად, მიუხედავად იმისა, რომ ამ სამარცხვინო დიპლომატიურ „სკანდალში“ მისი როლი პირველადია.

ეს რეპლიკა უწინარესად ეხება ტრადიციულ თემას — საზოგადოებასთან ხელისუფლების, მისი წამყვანი სტრუქტურების, მისი ხელმძღვანელებისა და მაღალჩინოსნების ურთიერთობას, მოსახლეობის ინფორმირების პრაქტიკას, სანდოობას, გულწრფელობას, პროფესიონალიზმს. ეს რეპლიკა ეხება სიცრუის პრაქტიკას, რომელიც, სამწუხაროდ, ახლა არ დაწყებულა, პირველი არ არის და, ალბათ, არც უკანასკნელი ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

არაერთგზის გვითქვამს და კვლავ ვიმეორებთ და ვიდრე ყურად არ იღებენ იქ, სადაც ჯერ არს, კვლავაც გავიმეორებთ: ამ სფეროში გაბატონებულია მამალი პრიმიტივიზმი, ელემენტარული უცოდინრობა! და ყოველივე ამას, არ გვინდა დავიჯეროთ, მაგრამ, მგონი, საბოტაჟის სუნი ასდის.

რამდენი კაცია დასაქმებული ამ მიმართულებით? რა განათლების, რა გამოცდილების, რა რაოდენობის პერსონალით არის დაკომპლექტებული ეს სამსახურები?



ვინ ხელმძღვანელობს ამ საქმეს?

გაგვაგებინეთ, ყოველივე ეს საბავშვო ბაღში ხდება თუ სახელისუფლებო სტრუქტურებში?

**ნუგზარ ფოფხაძე**

# ცუდს ვერაფერს ვხედავ, რომ საქართველოს რუსეთის დახმარების მიღების საშუალებაც ჰქონოდა!



**ის, რომ თუ საქმეს დასჭირდებოდა საქართველოს ხელისუფლებას ჰქონოდა რეზერვში ამ ტიპის დახმარების მიღების საშუალებაც, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ,** — ამის შესახებ „შენების მოძრაობის“ ლიდერმა დავით უსუფაშვილმა ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში ქართული მხარის მიერ რუსეთისთვის დახმარების თხოვნის შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

უსუფაშვილის განცხადებით, ხელისუფლება იმიტომ გვინდა, რომ მან ძალიან მკაფიოდ გვითხრას, რომ დიახ, გვაქვს ეს საშუალება დარეზერვებული, დიახ, არის კონტაქტი, თუ უკიდურესი აუცილებლობა გაჩნდება, შეიძლება ამასაც მივმართოთ, მაგრამ ამას გავაკეთებთ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, თუმცა, მისივე თქმით, ამის ნაცვლად ხელისუფლებამ დაიწყო ტრადიციული მიჩქმალვა, მიმალვა, ერთმანეთს ამოფარება.

**„ღმერთმა დაგვიფარა და მსხვერპლი არ არის. აბა, წარმოვიდგინოთ, თუ ამ ხანძარს ექნებოდა მეტი გართულების პოტენციალი, მაშინ ალბათ, კითხვა იქნებოდა იმის თაობაზე, თუ რატომ არ გამოვიყენეთ ყველა შესაძლო საშუალება, რათა მსხვერპლი თავიდან აგვეცილებინა. მსოფლიოში არსებობს დაწერილი და დაუწერელი კანონები. გაქანებული ომის მდგომარეობის დროსაც კი არსებობს ვითარებები, როდესაც ზოგადი ჰუმანიტარული მოსაზრებებიდან ორივე მხარე ან ცეცხლს წყვეტს, ან მშვიდობიანი მოსახლეობის გადარჩენისთვის ერთობლივად ზრუნავს, ამიტომ თავისთავად ის, რომ პოტენციაში, ზოგადად, თუ საქმეს დასჭირდებოდა საქართველოს ხელისუფლებას ჰქონოდა რეზერვში ამ ტიპის დახმარების მიღების საშუალებაც, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ ხელისუფლება იმიტომ გვინდა, რომ მან ძალიან მკაფიოდ გვითხრას, რომ დიახ, გვაქვს ეს საშუალება დარეზერვებული, დიახ, არის კონტაქტი, თუ უკიდურესი აუცილებლობა გაჩნდება შეიძლება ამასაც მივმართოთ, მაგრამ ამას გავაკეთებთ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, ჩვენ პირველ რიგში, მივმართავთ მეგობრებს, სტრატეგიულ პარტნიორებს, მაგრამ იმისთვის, რომ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში თავიდან ავიცილოთ დიდი უბედურება, ამისთვის დიახ, ვართ კონტაქტზე. ამის ნაცვლად დაიწყო ტრადიციული მიჩქმალვა, მიმალვა, ერთმანეთს ამოფარება. ერთი მინისტრი მეორისკენ იშვერს ხელს, რომ იმან განმარტოს, მე ვაჟკაცი და პატრიოტი ვარ, რუსეთს როგორ დაველაპარაკებოდი — ეს არის არასახელმწიფოებრივი მიდგომა, ეს არის სახელმწიფოებანას თამაში, ასე არ შეიძლებაო“,** — განაცხადა უსუფაშვილმა.

## „არავის არაფერი დაუმალავს“...



პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე სოფიო ქაცარავა საჭიროდ არ მიიჩნევს, რომ ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში დახმარების თაობაზე რუსეთისადმი მიმართვის საკითხზე პარლამენტში საგარეო საქმეთა მინისტრი მივიდეს. კითხვაზე, თუკი აბაშიძესა და კარასინს შორის საუბარი შედგა, რატომ დაუმალა ხელისუფლებამ ეს ფაქტი მოსახლეობას, სოფიო ქაცარავამ განმარტა, რომ „არავის არაფერი დაუმალავს და ამაზე ზურაბ აბაშიძემ დეტალური განმარტება გააკეთა“.

**„როგორც მოგეხსენებათ, ბორჯომის ხეობაში კონკრეტული ვითარების დროს საქართველოს მხარემ დახმარებისთვის ყველას მიმართა, მათ შორის, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, გამოყენებულ იქნა საერთაშორისო ფორმატები. ეს არის ევროკავშირი, ნატო და გაერო. ასევე საქართველოს მხარემ მიმართა მეზობელ სახელმწიფოებს და აბაშიძე-კარასინის ფორმატში ამასთან დაკავშირებით საუბარი შედგა. იცით, რომ ზურაბ აბაშიძემ ამაზე გააკეთა დეტალური განმარტება. შესაბამისად, რუსეთის მხრიდან დახმარების საჭიროება, როგორც იცით, დღის წესრიგში აღარ დადგა. რადგან ხელისუფლების ძალიან კოორდინირებული, ოპერატიული, ეფექტური მუშაობის შედეგად კატასტროფა თავიდან ავიცილეთ“,** — განაცხადა სოფიო ქაცარავამ.

## პრეზიდენტის ადმინისტრაციას ვურჩევ, უფლებამოსილებას ნუ გადააჭარბებს!

**პრეზიდენტის ადმინისტრაცია პოლიტიკურ პოლემიკაში შედის, სადაც მათი პოზიციების „ნაციონალური მოძრაობის“ პოზიციებთან დაახლოება ნათლად ჩანს** — ამ განცხადებით საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი საქართველოს პრეზიდენტის საერთაშორისო ურთიერთობათა მდივნის მიერ გაკეთებულ იმ განცხადებას გამოეხმაურა, სადაც თენგიზ ფხალაძემ თქვა, რომ ბორჯომის ხეობაში ხანძრის ლიკვიდაციაში რუსეთისთვის დახმარების თხოვნაში მთავარი პრობლემა ინფორმაციის დამალვაა.



**„იგივე პასუხი აქვთ, რაც „ნაციონალებს“. პრეზიდენტის ადმინისტრაციას ვურჩევ, უფლებამოსილებას ნუ გადააჭარბებს. თუკი პრეზიდენტს თავისი მოსაზრება აქვს, უფლემოსილია ამაზე ისაუბროს“,** — დასძინა ვოლსკიმ.

## ახალციხეში ხანძარი ჩააქრეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში „112“-დან შევიდა შეტყობინება, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფელ სვირის მიმდებარე ტერიტორიაზე, მთის ფერდობზე, წიწვოვანი ტყის მასივში ხანძარი გაჩნდა,** — ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს.

**„შეტყობინების მიღებისთანავე, შემთხვევის ადგილზე ათეულობით მეხანძრე-მაშველი, შესაბამის ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკასთან ერთად, ოპერატიულად მივიდა.**

**ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებს ადგილზე შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორი ნიკოლოზ სირაძე ხელმძღვანელობდნენ.**

**ცეცხლის ქრობის პროცესს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს 100-ზე მეტი თანამშრომელი ახორციელებდა. რთული რელიეფის გამო, ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის 170 თანამშრომელი ჩაერთო“.**





# ომით ხეირნანახი „ნაელჩარი“

ნაციონალად შობილი, ტრადიციული ნაციონალური ბიოგრაფიის, მაღალხარისხიანი ნაციონალური ნაწარმია, ცხოვრების მიზნად საქართველოს ნგრევა და დაცემა, ქართველების მოსპობა-გადაშენება რომ აქვს განზრახული. ალბათ, სწორედ ამით მიიპყრო სააკაშვილის ყურადღება და ჩვეულებრივი, რიგითი, მანამდე არავისგან არაფრით გამორჩეული ერთი ლუჩუნა და უხერხემლო არსება, ნაცების შლეგმა ბელადმა, ყველასთვის მოულოდნელად, თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშნა! ცხადი იყო, რომ მაღალ თანამდებობრივ სკამზე წამოსკუპებული ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უწყების „მაღალჩინოსანი“, იქ ყოფნისას არაფრის გამკეთებელი არ იქნებოდა. ანდა, რა მოვალეობა და სამუშაო უნდა შეესრულებინა სამხედრო და თავდაცვის საქმის უცოდინარსა და ვერაფერში ვერ გარკვეულ-გამგებს, ელემენტარული წარმოდგენა რომ არა ჰქონდა ქვეყნის თავდაცვის უნარიანობაზე.

თუმცა, არც არავინ არაფერსა სთხოვდა მუდამ გაკვირვებულ-დაშინებული თვალებით მომზირალ „მინისტრის მოადგილე“ **ბათუ ქუთელიას**. ანდა, რა უნდა ეკითხათ მისთვის, როცა თვითონ „მინისტრი“, ნარკომანობაში ბევრჯერ მხილებული **დავით კეზერაშვილი** გაგებაში არ გახლდათ, თუ რა იყო სამხედრო და თავდაცვითი დარგი, რა მოვალეობა უნდა შეესრულებინა და რა საქმე უნდა ეკეთებინა. „რაც ალხანა, ის ჩალხანაო“, — მათზე იყო ზედგამოჭრილად ნათქვამი. და, იყვნენ ნებაზე მიშვებულები, არავინ არაფერს უმოწმებდათ. პირიქით, ყველანაირად ხელს უწყობდნენ და აქეზებდნენ, რომ დარგისთვის გამოყოფილი დაფინანსებიდან, ქურდბაცაცებსა და ყაჩაღებს, სრულიად მშვიდად და შეუფერხებლად, მარჯვედ და ბლომად მოეტეხათ, რაც შეიძლებოდა დიდი ფული, „ხაზეინიც“ გაეხარებინათ და თვითონაც კარგი ხეირი ენახათ. იცოცხლეთ, ამაში ნამდვილად არაფერი არ ეშლებოდათ და არანაირად არ იბნეოდნენ.

დასანანია, რომ ზოგიერთი უმეცარი არსება, ნებსით თუ უნებლიეთ, 2008 წლის აგვისტოში რუსულ ავანტიურაზე „წამოგებულ“ და ცხინვალზე შეტევის დამწყებ უჯიშო სააკაშვილს საქართველოსთან აიგივებდა და უზარმაზარ-უპატიებელი დანაშაულისგან ათავისუფლებდა, პასუხისმგებლობას აცილებდა ქვეყნის დამნელებელსა და გამაუბედურებელ მის თანამოაზრე-თანამოსაქმე ნაციონალებსაც. ქართველების უმრავლესობა კი სწორედ მიშიკასა და მის ბანდას მიიჩნევდა ამ უდიდესი ტრაგედიის დამტრიალებლებად და მოთმინების უკიდურეს ზღვარს მიღწეულები, დღემდე მოღალატე გამყიდველების უმკაცრესად დასჯის ამაო მოლოდინში არიან.

იმ საზარელი ორდღიანი ომის დროს, ბათუ ქუთელია თანაპარტიელებივით, ალბათ, წითელი ხიდის გავლით მეზობელ ქვეყანაში გადაიპარა და აზერბაიჯანელი ოლიმპიელების სავარჯიშო სპორტულ კომპლექსში შეიკუჭა და მიიმალა. შესაძლებელია, როგორც თავდაცვის „მაღალჩინოსანმა“, იცოდა, რომ „მთავარსარდალი“ ბელადი ორ დღეში გამოაცხადებდა კაპიტულაციას; დათქმულისამებრ, ტერიტორიებს მტერს ჩააბარებდა და საშიშიც ისეთი აღარაფერი იქნებოდა. ამიტომაც, მალევე შინ დაბრუნებულმა ნაცკაცუნამ, დანარჩენი ნაცებივით პირადი საქმეების მოწყობა-მოგვარებას შეუდგა.

**გიორგი გუგავა, „ლეიბორისტული პარტია“: „მაშინ, როცა ჩვენი ჯარისკაცები სამაჩაბლოში სისხლისგან იცლებოდნენ, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბათუ ქუთელია და სხვა მაღალი რანგის ჩინოვნიკები 120 000 დოლარად შეფასებულ მიწის ნაკვეთებს ინაწილებდნენ“. („ყველა სიახლე“, 2008 წ. №14).**

**ჩვენი კომენტარი: აშკარაა, რომ იმ დამღუპველი ომით მიშიკამ და მისმა მოღალატე ხროვის წევრებმა გვარიანი სარგებელი ნახეს. მანამდე გაძარცულ-ნაქურდალს ომის დროს მოპოვებული მიუმატეს და ფულიც ბლომად იშოვეს.**

ჰოდა, ბათუ ქუთელია რატომღა დაიკრებდა გულზე ხელებს, განზე რად გადგებოდა? ადგა და იმ თავზარდამცემ დღეებში, ოქროყანაში სრულიად მუქთად, კარგა მოზრდილი ნაკვეთი შემოურაგვია და დაუმტკიცებია კიდეც. ვინ იცის, ალბათ, მალევე თანამედროვე მოდერნი ვილაც წამოდგა და ცხოვრობს შიგ განცხრომით და უდარდელად. იმ დროს, როცა თამარაშენში, კარალეთში, ქურთაში და კეხვში ქართველი ბიჭები იღუპებოდნენ, მათი ცხედრები მზეზე იხრწნებოდნენ, არაკაცი და მიშიკას ფეხის მტვერი ბათუნიკა და მისნაირი ქვეყნის გამყიდველი მოღალატე ნაციონალი ძამუკები, მიწებს იტაცებდნენ და ისაკუთრებდნენ.

ასე იხეირა ომით, ნაცკაცუნა ბათუ ქუთელიამ.

ომის უმძიმეს დღეთა „გადამტანი“ და საბრძოლო ოპერაციების „მონაწილე მინისტრის მოადგილე“ გაიძვერა ბათუკა, „გამარჯვებულმა მთავარსარდალმა“, მალევე საქართველოს „ელჩად“ წარგზავნა შეერთებულ შტატებში. მსოფლიოს უპირველეს ზესახელმწიფოში „ელჩად“ დანიშვნა ვფიქრობთ, ბევრ გამოცდილსა და მოქნილ პოლიტიკოსს დააფიქრებდა და შეიძლება, ზოგიერთს უარიც კი ეთქვა ესოდენ საპასუხისმგებლო მისიის შესრულებაზე. დიპლომატიაში სრულიად გაუთვითცნობიერებული და უვიცი ბათუ კი ეტყობა, სიხარულით ცას ეწია შემოთავაზებულით გონდაკარგული და სასწრაფოდ გაემგზავრა ოკეანეს გაღმა. ისე, რომ ვთქვათ, რა დიდი ცოდნა-გამოცდილება სჭირდებოდა იქ საგულდაგულოდ და საგრიალოდ ჩასულ ცეტი მიშიკასი და მისი მოდგმა-ჯილაგის ბანდისთვის დახვედრა-გამოცილებას; მათ თანხლებას რესტორნებსა თუ კაფე-ბარებში, კაზინოებში თუ ბორდელებში მეგზურობას? რაიმე სახელმწიფოთაშორისო მოლაპარაკებებს კი სნეულსა და ავზნიან უსტაბაშთან არც ერთი სახელმწიფო მაღალჩინოსანი არ მართავდა. მხოლოდ, საქართველოს შემოჩენილებსა და კბილებდასმულ მაკკეინთან და ბაიდენთან ჩასაკონებელ-ჩასაკოცნად და „მაყუთის“ მისართმევად მისვლის დროს თუ შეუქმნიდა ხოლმე ფონს. სხვა მხრივ, ბათუკა „ელჩს“ არაფერი არ ევალებოდა და იგიც, აღმადაღმა სერავდა უკიდეგანო ქვეყანას; მაღალი ხელფას-პრემიებით კმაყოფილი ხარობდა, ლაღობდა და ერთობოდა.

ერთი ეგ არის, მალე გაიფრინა „ელჩობით“ ტკბობის პერიოდმა და შინ მოუწია დაბრუნება. უქნარასა და უსაქმურს, ამერიკაში მისი „მოღვაწეობით“ კმაყოფილმა ატამანმა, მალევე გამოუძებნა ზედგამოჭრილად შესაფერისი სამსახური და უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ დანიშნა. ფორმალურად და ვიღაცებისთვის თვალების ასახვევად, საბჭოს შეფი — გულბოროტი, უნასი, ავყია და უვიცი ბოკერია და ყურმოჭრილი სულქვეითი ქუთელია, იშვიათად თუ მოიწვევდნენ სხდომებს, სააკაშვილისა და ნაცბანდის წევრებისგან ქვეყნის საზიანოდ შემუშავებული გეგმა-ჩანაფიქრებისთვის დასტურის მისაცემად. ძირითადად კი საბჭოსთვის გამოყოფილი უზარმაზარი დაფინანსებიდან, უშიშრად და უსაფრთხოდ მოპარვის მეთოდების მოფიქრებით იყვნენ დაკავებულები.

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში განცდილი სამარცხვინო ჩაფლავების მერე, ეტყობა, მარად დამფრთხალი თვალებით მომზირალმა ბათუმ, ნაციონალების აღსასრულის მოახლოება იყნოსა და ერთი წლის თავზე, ამერიკაში გაქცევით „უშველა“ თავს. ასაკის მიუხედავად, კვლავაც „სწავლა-განათლების“ ჭია შეუჩნდა და ერთწლიანი აკადემიური შვებულებაღებული, მიშიკას მამიკო მაკკეინისგან დაარსებულ რომელიღაცა „ინსტიტუტში ჩაირიცხა“.

თუმცა, გასაკვირი არაფერია, ხომ გაგვიგია: სწავლა სიბერემდეო...

მაგრამ, ამგვარი იაფფასიან-ნაციონალური ხრიკებით თავის გადარჩენის მცდელობა და „გასტუდენტება“, არა და ვერ უშველის სააკაშვლის ხელის ბიჭსა და მონა-ლაქია ბათუს. მაინც მოუწევს ბელადთან ერთად სასამართლოში დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა და დამსახურებული მძიმე განაჩენის მოსმენა.

**დავით კარტოზია, ამერიკაში მცხოვრები ბიზნესმენი: „2010 წლის 16 დეკემბერს ჩემს სახლში შევხვდით საქართველოს ელჩს ბათუ ქუთელიას. შეგვპირდა, რომ მსოფლიო ბანკთან გვიშუამდგომლებდნენ. ოთხი თვის ლოდინის შემდეგ მოვიკითხეთ და აღმოჩნდა, რომ იმ ბანკში არავინ არაფერი იცოდა“. („ილორი“, 2012 წ. №167).**

აი, ასე რომ გვეგონა, თითქოსდა ბათუ ქუთელია ერთი უუნარო და მოუქნელ-უხერხემლო, ცეტი და გაუწონასწორებელი სააკაშვილის მონა-ლაქია იყო, არ გამოდგა მართალი და სარწმუნო.

სინამდვილეში, დამფრთხალი თვალებით მომზირალი მუზმუზელა ბათუნია, გვარიანად გაქნილ-გაცვეთილი, თვალთმაქცი და თაღლითი არაკაცი გამოდგა. ზემოხსენებული ლაზიკის პროექტზე 11 მილიონი დოლარის დამხარჯველი ბატონი კარტოზია და იქაური ბიზნესმენი **ენდრიუ მურდზა**, დიპლომატობადაჩემებულმა ქუთელიამ ოსტატურად გააცურა და პირში ჩალაგამოვლებულები დატოვა. მერე, გაოგნებული ბიზნესმენები, „დიპლომატ“ ბათუს პროექტის მოპარვაში სდებდნენ ბრალს, სასამართლოში წასვლით და იქ საქმის გარჩევით ცდილობდნენ დანახარჯის დაბრუნებას და დამნაშავის დასჯას. თუმცა, ამ საქმისა დღემდე აღარაფერი ისმის...

არა მგონია დასახელებულმა პიროვნებებმა, ასე იოლად მოინელონ მილიონების ქარს გატანება. ალბათ, ყველაფერს ილონებენ დაკარგულის დასაბრუნებლად თაღლითი „ნაელჩარისთვის“ ანგარიშის გასასწორებლად.

ასეა თუ ისე, დღეს ყველასგან და ყველაფრისგან თავდახსნილ-დაძვრენილი და ხელებდაბანილი ბათუკა, თავს სრულიად უსაფრთხოდ და მშვიდად გრძნობს. ამჟამად, რომელიღაცა ნაციონალურ ოფის-ბუნაგში ჩაბუდებული, ხშირად ჩნდება ტელეეკრანზე და არნახულ თავდაჯერებული იძლევა „რჩევა-დარიგებებს“, სამარცხვინოდ პრიმიტიულ „მოსაზრებას გამოთქვამს და წინასწარმეტყველებს“ ქვეყანაში და დედამიწის ზურგზე „განსავითარებელ მომავალ მოვლენებზე“.

არადა, დარწმუნებული ვართ, მთლად მშვიდად მაინც არ უნდა იყოს ქართველებისა და მათი სამშობლოს წინაშე ჩადენილი უპატიებელი დანაშაულების გახსენებით, ერთი ადგილის გაუჩერებლად ატოკებულ-აკანკალებული ბათუ!

**გელა ჯილაური**

## აფხაზეთის დელეგაცია მთიან ყარაბაღში



**აფხაზეთის არაღიარებული საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია მთიან ყარაბაღში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება, ამის შესახებ სააგენტო „ეხო კავკაზა“ იტყობინება. გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა დაურ კოვემ და მთიანი ყარაბაღის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა კარენ მირზოიანმა სტეფანაკერტში ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.**

**მინისტრებმა შეხვედრისას ასევე ისაუბრეს რეგიონში არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაზე.**

## სტიქია აფხაზეთში – დატბორილია სახლები, მანქანები, მოგლეჯილია ხეები

**ოკუპირებულ აფხაზეთში, სოხუმში ძლიერი წვიმის შედეგად სახლები დაიტბორა. ძლიერმა ქარმა სახლებს სახურავები ახადა, ხეები მოგლიჯა და ადგილობრივების კუთვნილი მანქანები დააზიანა. ასევე დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზები. წვიმის შედეგად ადიდდა მდინარე აძაფში და კალაპოტიდან გადმოვიდა. ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო მთავრობის განმარტებით, ჯერ ზიანის მასშტაბების დადგენა ვერ ხერხდება.**



№174. ოთხშაბათი, 30 აგვისტო, 2017 წელი.

# ამერიკა-ნატო მოახერხებს რუსეთის დამონება-დაჩოქებას?!



**მოსახლეობის დიდ უმრავლესობაში გავრცელებულია აზრი, რომ ნაცები და ნაცების ნამსხვრევები, ანუ „ნაცმოძრაობიდან“ გამოყოფილი და ცალკე პარტიებად, არასამთავრობო ორგანიზაციებად ჩამოყალიბებულნი (ვითომდაც, როგორც უფრო წესიერი, განსხვავებული იდეოლოგიის „ნაცისტები“), როცა ისინი რუსეთის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებს აწყობენ შიდა ქართლში – რუსეთის პროვოცირებას ცდილობენ და მეორე „2008 წლის აგვისტოსკენ“ გვიბიძგებენ.**

„ამ **საპროტესტო აქციის ორგანიზატორები, ანტირუსული პროპაგანდით გაბრუებულ ხალხს კონფლიქტური ვითარების პროვოცირებისკენ უბიძგებენ“,** წერს ერთი ცნობილი და პოლიტიკაში ღრმად ჩახედული პუბლიცისტი.

და განა მართლაც ასე არ არის? თუ რუსეთის პროვოცირება არა, მაშ აბა, სხვა რა მიზანი უნდა ჰქონდეს ამგვარ საპროტესტო გამოსვლებს? იქნებ, რუსეთის იძულება – გაიყვანოს ჯარი ოკუპირებული ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან (და აფხაზეთიდანაც, ცხადია)? კი მაგრამ როგორ, რა საშუალებებით – საზღვართან ტრანსპარანტების გაშლით, ქართული დროშების ფრიალით, პატრიოტული შეძახილებით და გამოსვლებით? თუ, ჩვენი „მრჩეველი მეგობრების“ – ამერიკა-ევროკავშირის ყურადღების მიპყრობით (ისინი ხომ ჩვენი ტერიტორიული პრობლემების მოგვარებაზე წლებია „თავდაუზოგავად მუშაობენ“ და ამ მიმართულებით ჩვენც რუსეთთან დიალოგს „გვირჩევენ“), რათა მათ, თავის მხრივ, ზეგავლენა მოახდინონ და მკაცრი ეკონომიკური სანქციებით აიძულონ რუსეთი დააკმაყოფილოს ჩვენი მოთხოვნები.

**ცხრა წლის მანძილზე, 2008 წლიდან დღემდე გამართულ ამ საპროტესტო აქციებს იოტისოდენა შედეგი მაინც რომ მოეტანა, მაშინ მთლიანად საქართველოს ტერიტორიიდან თუ არა, ცოტ-ცოტას მაინც დაიხევდა უკან რუსის ჯარი**. ხდება კი პირიქით! არა უკანდახევა, არამედ უხმაურო (უცეცხლო) შემოტევა, ე.წ. „მცოცავი ანექსია“ მთელ რიგ ადგილებში. ამდენად, სრული უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ცხინვალის მისადგომებთან რამდენიმე ასეული (თუნდაც, ათასეული) ადამიანის მიერ მრავალჯერ გამოხატულ პროტესტს კარგი არაფერი მოაქვს. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლება და დასავლეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოები, რომლებიც შეუძლებელია ვერ ხვდებოდნენ ამ გზის უნაყოფობას, მაინც უაზროდ გულზე მჯიღის ცემას ამჯობინებენ რუსეთთან პირდაპირ მოლაპარაკებას.

ეგებ, ამერიკა-ევროპა ავაფორიაქეთ ამ საპროტესტო აქციებით? როგორ არა, თვე არ გავა, რომ რომელიმე ლიდერმა შეშფოთება არ გამოხატოს ჩვენთან არსებული მდგომარეობის გამო, ზოგიერთი მათგანი აღშფოთებამდეც კი მიდის, აბა! ამის პარალელურად პრაქტიკულადაც გვეხმარებიან – გვაიარაღებენ და რუსეთის ახალი აგრესიისგან თავის დასაცავად (უფრო კი, ჩრდილოელი „დათვის“ გასაღიზიანებლად!) ერთობლივ სამხედრო წვრთნებსაც ატარებენ ჩვენთან ერთად, რუსული სამხედრო ბაზიდან არცთუ დიდი დაშორებით. მეტი მხარდაჭერა რაღა გვინდა!

ამ **„დემოკრატი“, „პარტნიორი“ და „მეგობარი“ სახელმწიფოების ლიდერების მიერ გამოთქმული „შეშფოთებები“ რა ხანია გონს მოსული გაბრიყვებული კაცის მწარე ღიმილს და ამერიკისადმი (ევროპაზე მეტად) ნეგატიურ განწყობას იწვევს მხოლოდ**. არც რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის რეაქცია უნდა იყოს ძნელი მისახვედრი ჩვენებურ აქციებზე და დასავლურ „შეშფოთებებზეც“ (ისინიც იღიმიან უსათუოდ, ოღონდ, – ირონიულად) – მათ კარგად იციან, რომ ერთიც და მეორეც მხოლოდ ფუჭი ფაფხურია, „წყლის ნაყვაა“, რომ მხოლოდ ქართველი ხალხის თვალის ასახვევადაა ისინი მოფიქრებული და არა – დასახული მიზნის მისაღწევად.

**მხოლოდ ბრიყვი და უცოდინარი ადამიანი თუ დაიჯერებს, რომ საპროტესტო გამოსვლებით და გამოთქმებით რუსეთს ვინმე აიძულებს უკან წაიღოს თავისი ერთხელ მიღებული გადაწყვეტილება**.

ჩვენი ბედოვლათი ხელისუფლება (ახალი და ძველიც!) კი ყველანაირად ცდილობს დაგვარწმუნოს: მართალია, აგრესორ რუსეთს არ ველაპარაკებით და არც დაველაპარაკებით, სანამ მისი ჯარი იდგება ქართულ მიწაზე(!), მაგრამ გულზე ხელდაკრეფილები კი არ ვზივართ, ხომ ხედავთ როგორ საპროტესტო აქციებს ვაწყობთ, როგორ შევაშფოთედ მთელი ევროპა და ამერიკა, ვინ არ ჩამოდის ჩვენს მხარდასაჭერად, იმასაც მივაღწიეთ, რომ ამერიკამ ჩვენთან ერთად სამხედრო წვრთნებიც კი ჩაატარა რუსეთის გულის გასახეთქადო (თურმე, სულ გულები დაუსკდათ შიშისაგან რუსებს ამერიკული ტანკების დანახვაზე!).

ერთი სიტყვით, თითქოსდა, ერთადერთი სწორი ვერსია რჩება – ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან გამართული რუსეთის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციები რუსეთის პროვოცირებას ისახავს მიზნად.

**აქციები მართლაც ჩამოჰგავს პროვოკაციულს, მაგრამ არცერთი მათგანი არ არის იმ ხასიათის, იმ შინაარსის, რაც საკმარისი იქნებოდა რუსეთის წონასწორობიდან გამოსაყვანად, ყველაფერი გაანგარიშებულ-გამოზომილია(!) აქციების შემკვეთების და მომწყობების მიერ, თუმცა მასში მონაწილეთა უდიდესი უმრავლესობა, რა თქმა უნდა, ამის გაგებაში არ არის**.

თავად რუსეთი კი, რომ იტყვიან, აინუნშიაც არ აგდებს ამ აქციებს!

სერიოზული, ანუ მართლაც **საფრთხის შემცველი პროვოკაციის უფლებას ამერიკის შეერთებული შტატები არც მისცემს მის მონამორჩილ საქართველოს ხელისუფლებას და, არც – მის მიერ დაფინანსებულ პარტიებს და ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს!** აქციის ორგანიზატორებმა კარგად იციან, თუ სადამდე შეიძლება შეტოპონ. კი მაგრამ, ამერიკა ვითომ რატომ უნდა იყოს პროვოკაციაზე რუსეთის წამოკიდების წინააღმდეგი? განა 2008 წლის აგვისტოში ამერიკის მითითებით არ დაიწყო სააკაშვილმა პროვოკაციული საბრძოლო მოქმედებები? ნამდვილად ასე იყო, ოღონდ **იმ წლებში ამერიკის მიზანი იყო ცხელი წერტილის გაჩენა-გაღვივება, დაძაბული სიტუაციის შექმნა რუსეთსა და საქართველოს შორის, რუსი და ქართველი ხალხების სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდება, რაც წარმატებით განახორციელა კიდეც „დემოკრატიის შუქურას“ ხელით**. იქნებ, აღარც გვახსოვს პრეზიდენტ **ჯორჯ ბუში-უმცროსის** საფრანგეთის პრეზიდენტ **სარკოზისთვის** (რომელიც რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის – საომარი მოქმედებების შეწყვეტის მიზნით იყო ჩამოსული შუამავლად) იმ დღეებში ნათქვამი: რა გინდა, რას ერევი ამ კონფლიქტში, ვერ დაეტევი შენ ადგილზეო (ანუ გაუშვი, დახოცონ ერთმანეთი, რაც მეტი დაიხოცება, მით უკეთესი, უფრო დიდი და ხანგრძლივი მტრობა ჩამოვარდება ქართველებსა და რუსებს შორისო!)!

**დღეს კი სერიოზული, რუსეთის აგრესიის გამომწვევი პროვოკაცია ამერიკას არ აწყობს, რადგანაც მან კარგად იცის, რომ ამგვარ პროვოკაციას, რომელსაც სულმოუთქმელად ელოდება რუსეთი, აუცილებლად მოჰყვება „ბლიცკრიგი“ რუსეთის მხრიდან** – სულ რაღაც ერთ-ორ საათში იქნება ოკუპირებული დანარჩენი საქართველოც ერთდროული შემოტევით ზღვიდან, ჰაერიდან და ხმელეთიდან (აფხაზეთის, სამაჩაბლოს და სომხეთის გიუმრის ბაზებიდან). **შეერთებულ შტატებს წყალში ჩაეყრება ამიერკავკასიაში ფეხის მოსაკიდებლად დახარჯული მილიონობით დოლარი და, რაც მთავარია, თავად მას მოუწევს სამუდამოდ გუდა-ნაბდის აკვრა და კუდამოძუებული აყრა,** უკან დარჩება უზარმაზარი საელჩოც დიღომში და ამერიკაში ტრენინგებგავლილი გოგო-ბიჭების მთელი არმია, საქართველოს ხელისუფლებაში კი მოვლენ უკვე რუსეთისგან „დაბრო“-მიცემული ე.წ. პრორუსები.

ამგვარი სცენარით მოვლენების განვითარებას ძალიან კარგად აცნობიერებს ამერიკის ხელისუფლება, თორემ, სურვილის შემთხვევაში, რუსეთის აგრესიის გამომწვევი პროვოკაციის მოწყობას რა დიდი თავისმტვრევა სჭირდება.

**ამერიკას ძალიანაც აწყობს დღევანდელი სტატუს-კვოს შენარჩუნება განუსაზღვრელი ვადით, ანუ აწყობს მუდმივი დაძაბულობა საქართველო-რუსეთს შორის, ე.წ. მცოცავი ანექსია (რაც კიდევ უფრო ზრდის ამ დაძაბულობას), რუსეთის ლანძღვა-გინება წამოჩიტული ახალგაზრდებისგან,** რომლებსაც ამჟამად ისეთივე ზიზღით ზრდიან რუსეთის მიმართ, როგორც აფხაზეთში აფხაზ ახალგაზრდებს – საქართველოს მიმართ!

**კიდევ ერთი თაობაც და აფხაზეთი, სადაც უკვე ახლა სჭარბობენ სომხები აფხაზებს, სამუდამოდ გაუცხოვდება და ვერავითარი ე.წ. პირდაპირი მოლაპარაკება აფხაზებსა და ქართველებს შორის (რისთვისაც საქართველოს ხელისუფლება არაფერს აკეთებს!) შედეგს არ გამოიღებს. ასევე არ გამოიღებს შედეგს არც მოლაპარაკებები რუსებსა და იმ ქართველთა თაობას შორის, რომელიც შინაგანად ზიზღით იქნება გამსჭვალული რუსების მიმართ და მოსალაპარაკებლად რუსულის ნაცვლად ინგლისურს გამოიყენებს!** მამა–პაპათა თაობის წარმომადგენლები კი, რომლებსაც ჩატეხილი ხიდების აღდგენა დღეს ჯერ კიდევ შეუძლიათ, ან მიწაში იქნებიან (ძირითადად) ან ფიზიკურად აღარ ექნებათ აქტიური მოღვაწეობის თავი!

ამერიკის მსოფლიო პოლიტიკის მიზანიც ეს არის – როცა ეკონომიკურად გაჭირვებულ სახელმწიფოს გადაუჭრელი საშინაო და საგარეო პრობლემები აქვს, მის ქეჩოში ხელის წავლებას და შენ ჭკუაზე ტარებას რა უნდა, ერთი ელჩის წარბის აწევაც ჰყოფნის! პრობლემები კი, რომლებიც მეოთხედი საუკუნეა არა და არ გვარდება, არც არასოდეს მოგვარდება, რადგანაც ჩვენს ახალ „მეგობრებს“ – ამერიკას და თურქეთს თავ-თავიანთი შორსმიმავალი ინტერესები ამოძრავებთ კავკასიაში. ინტერესი კავკასიაში, კერძოდ, საქართველოს მიმართ, ცხადია, რუსეთსაც აქვს, მაგრამ ინტერესიც არის და ინტერესიც, ამიტომ მოდით, შევადაროთ ისინი, არცერთის ინტერესი არ არის ფარული, ყველა გაცხადებულია:

**ამერიკის ინტერესი** საქართველოში უშუალოდაა დაკავშირებული რუსეთთან, რუსეთის დასუსტება-დაშლასთან, რისთვისაც იგი ორ ფრონტზე აწარმოებს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას – შიგნიდან არასამთავრობოების ძირგამომთხრელი საქმიანობით, და გარედან – რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოებში რუსეთზე დამიზნებული რაკეტების განლაგებით. საზარბაზნე ხორცად, რაღა თქმა უნდა, ქართველი, უკრაინელი და სხვა მეზობელი უნდა იქნას გამოყენებული და არა – ამერიკელი. აი, ეს არის ამერიკის ჭეშმარიტი მიზანი და არა საქართველოს ეკონომიკური აყვავება ან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა!

**სამწუხაროდ, ძალიან ბევრმა არ იცის, თუ რა პოლიტიკას ატარებს ამერიკა მსოფლიოში და რა არის მისი საბოლოო მიზანი, და როცა ეს არ იცი, ვერც იმას მიხვდები, თუ რა უნდა მას, კერძოდ, საქართველოში** – ჩვენი მართლაც მეგობრული დახმარება, თუ უბრალოდ „ხმარება“. ზუსტად ამაზე აქვს ნათქვამი ამერიკის მესამე პრეზიდენტს **თომას ჯეფერსონს** 200 წლის წინათ: **„მე მეცოდებიან ჩემი თანამოქალაქენი, რომლებიც კითხულობენ რა გაზეთებს, ცხოვრობენ და კვდებიან იმ რწმენით, რომ მათ, თითქოს, გაიგეს რაღაც იმ მოვლენების შესახებ, რაც მათ თვალწინ ხდება“!**

რაც შეეხება **თურქეთს**, ჩვენ „ისტორიულ მეგობარს“, მას კიდევ უფრო ნათლად და მრავალჯერ აქვს გაცხადებული პირველი პირების პირით ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ – საქართველოს დიდი ნაწილის, კერძოდ, აჭარის და სამცხე-ჯავახეთის მიერთების შესახებ, და ამ ინტერესის პრაქტიკული განხორციელება კარგა ხნის დაწყებულიც აქვს ბათუმში! მცოცავ ეკონომიკურ ანექსიას სწორედ თურქეთი აწარმოებს და ეს ყველაზე თვალშისაცემი აჭარაშია! **ძნელი მისახვედრი არ არის არც ის, რომ თუ რუსეთს ოდნავ ფეხი გადაუბრუნდა, თურქეთი იმავ წუთს ისარგებლებს რუსეთის პრობლემებით და სამხედრო ანექსიასაც განახორციელებს** (საბაბს, როგორმე, გამოძებნის). **ერდოგანის** ჩამოგდება რომ არ განეზრახა ამერიკას, თურქეთი დღესაც დაპირისპირებული იქნებოდა რუსეთთან. საკუთარი და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ერდოგანმა იმწამსვე შეცვალა პოლიტიკა და რუსეთს მოუბოდიშა სირიაში ჩამოგდებული რუსული თვითმფრინავის თაობაზე, რაზედაც მანამდე კატეგორიულ უარზე იყო, და ასე ვთქვათ, „შეეკრა“ კიდეც მას. არავინ იცის, ხვალ რა მოხდება, რადგანაც აბსოლუტურად ყველა ლიდერი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს, ყველა, საქართველოს, უკრაინის და ჩვენისთანა ბედოვლათი „სახელმწიფო მოღვაწეების“ გარდა!

**რუსეთს რაღა ინტერესი აქვს საქართველოში?** ტერიტორიული, რომელიმე რეგიონის (აფხაზეთის, სამეგრელოს ან ე.წ. სამხრეთ ოსეთის) მიერთება სურს? ამის სურვილი რომ ჰქონოდა სტალინის სიკვდილის შემდეგ მაინც ხომ განახორციელებდა? უდავოდ! რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ სურს ჩვენი ტერიტორიის გამოყენება ან ჩვენი ჯარისკაცების ხელით ბრძოლა? ესეც შორსაა ისტორიული სინამდვილისგან, ამის მაგალითები არ არსებობს, საპირისპირო კი – რამდენიც გნებავთ! **რუსეთს ერთადერთი და ერთნაირი(!) ინტერესი აქვს საქართველოშიც, უკრაინაშიც და სხვა მეზობელ ქვეყნებშიც: მას, ისევე, როგორც ნებისმიერ იმპერიულ სახელმწიფოს არ სურს, რომ სამეზობლოდან მისკენ მიმართული იყოს იმ სახელმწიფოს რაკეტები (ამერიკა-„ნატოს“), რომელსაც რუსეთის დაჩოქება–დამონება და მისი ბუნებრივი რესურსების ხელში ჩაგდება აქვს გადაწყვეტილი!** და ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად მან (ნებისმიერმა სახელმწიფომ!) შესაბამისი პრევენციული ნაბიჯები რომ გადადგას, განა ეს მოულოდნელი იქნება? რა თქმა უნდა, არა! ან მოულოდნელი როგორღა იქნება, როცა რუსეთის პრეზიდენტიც და საგარეო საქმეთა მინისტრიც წინასწარ გვაფრთხილებენ ჩვენც და სხვა მეზობლებსაც: **რუსეთი ყველა(!) ღონეს (ძალას!) იხმარს და არ დაუშვებს „ნატოს“ რაკეტების განთავსებას მის საზღვრებთან**.



**გაუგებრად გვეუბნებიან?!**

**იაკობ ლეჟავა**

P.S. საგარეო პოლიტიკას ვინ დაეძებს, საშინაოს მაინც რომ ვატარებდეთ ჭკვიანურს. მართლაც, გული შეგეკუმშება კაცს, როცა დაცლილ სოფლებს, მიტოვებულ სახლ-კარს უყურებ, როცა წამლად ვერ ნახავ სოფელში ახალგაზრდას (ყველა თბილისში ან საზღვარგარეთ არის გაქცეული თავის საშველად!) და მწარედ გაგეღიმება იმ შედარებაზე, რაც მე ერთი ზემოიმერელი გლეხისგან გავიგონე: **„თბილისი საიქიოს ჰგავს, იქ წასული ბევრი გვინახავს, მაგრამ უკან მობრუნებული – არავინ“!**

**ი. ლ.**

**უკვე შევეჩვიეთ, რომ საინფორმაციო გადაცემები ძირითადად, კრიმინალური ამბებით იწყება, თუმცა ძნელია, ყურადღების მიღმა დატოვო ტენდენცია, რომელიც ნებისმიერი საზოგადოებისთვის საკმაოდ შემაშფოთებელია — მოქალაქეები კანონის გვერდის ავლით ცდილობენ, ერთმანეთს ანგარიში გაუსწორონ. საქმე უმეტესად, მკვლელობით მთავრდება — ეჭვიანობის თუ შურისძიების ნიადაგზე ქმარი ცოლს კლავს, მეგობარი — მეგობარს. კაცობრიობის არსებობის დღიდან არსებობს კრიმინალი, მაგრამ დამთრგუნველია, როდესაც ყოველდღიურად, შენს გვერდით, შენს ქვეყანაში ადამიანები ერთმანეთს კლავენ.**

**იურისტები თვლიან, რომ კრიმინალი ყოველთვის ხდება განვითარებულ ქვეყანაშიც და განუვითარებელშიც; არ არის გამოსავალი სასჯელის გამკაცრება; პრობლემა არის სოციალური ფონი, გაჭირვება, ვალუტის კურსი, უმუშევრობა და ა.შ. ეს ყველაფერი ქმნის აგრესიულ გარემოს. ქუჩაში აგრესიული, გაბრაზებული ადამიანები დადიან, ყველას თავისი პირადი პრობლემა აქვს, რომელიც შემდეგ ხან ოჯახურ კონფლიქტებში გადაიზრდება და ზოგჯერ კრიმინალში.**

**არსებობს თუ არა გამოსავალი პრობლემიდან, რომელიც საუკუნეებია, აწუხებს მსოფლიოს — რატომ გახშირდა მკვლელობები — ამ თემაზე ექსპერტი ლევან ალაფიშვილი გვესაუბრება.**



# კრიმინალს დეპრესიული ფონი და აგრესიული გარემო კვებავს

**— ბატონო ლევან, თითქოს ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომი არ უნდა იყოს — ძალზე ხშირად დამნაშავეს ცხელ კვალზევე აკავებენ და ეს ინფორმაციაც საჯაროვდება. კრიმინალისტები გახშირებული მკვლელობების ტენდენციას როგორ ხსნიან?**

— კრიმინოლოგიურად, ამისი გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ე.წ. დეპრესიული ფონი საზოგადოებაში, რომელიც თანამდევია სოციალური მდგომარეობისა. როდესაც ე.წ. კონფლიქტური სიტუაციები კი არ განეიტრალდება ადამიანების ურთიერთობაში, არამედ ზოგჯერ უმნიშვნელო კონფლიქტიც კი გადადის ძალადობაში.

როგორც კი ძალადობამდე მიდის საქმე, ძალზე ხშირია ძალის გადამეტება თავდამსხმელის, ან პირიქით თავდაცვის პოზიციაში მყოფის მხრიდან. ანუ პრობლემის ძალით გადაწყვეტის ტენდენციის ფესვები უნდა ვეძებოთ სოციალურ ფონში — მკვლელობა კი ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფორმაა.

**— სოციალური მდგომარეობა ახლა არ გაუარესებულა — 25 წელზე მეტია, საქართველოში ეს პრობლემა არსებობს და მისი გადაჭრაც ვერ ხერხდება. თუმცა კრიმინოგენური ვითარება პერიოდულად, უარესად ან შედარებით შემსუბუქებულად გამოიყურება. რაღაც მასტიმულირებელ კომპონენტებში ხომ არ შეიძლება იყოს საქმე?**

— მეც ამ პერიოდზე ვმსჯელობ და არა მხოლოდ დღევანდელ დღეზე — სამწუხაროდ, პრობლემების ძალადობის გზით გადაჭრა დიდი ხანია, საქართველოს სამწუხარო რეალობაა. ბოლოს და ბოლოს, საქართველოში ხელისუფლებებიც ძალადობის გზით შეიცვალა — შესაძლოა, ფორმები განსხვავებული იყო — ერთი — იარაღით, მეორე — უიარაღოდ, მაგრამ ორივე შემთხვევაში იყო ძალადობა.

რაც შეეხება ციკლურობას, ამ მოსაზრებაშიც მინდა მცირე კორექტივის შეტანა — იყო პერიოდი, როდესაც საზოგადოებას მეტი ინფორმაცია მიეწოდებოდა და იყო პერიოდი, როდესაც მსგავსი ინფორმაციები უბრალოდ, არ ვრცელდებოდა — ეს არის და ეს, თორემ უეცარი კრიმინოგენური აფეთქებები, რომელიც დამოკიდებულია რაღაც ფაქტორებზე, კრიმინოლოგიაში მსგავსი რამ არ არსებობს.

საზოგადოება არ ყალიბდება მხოლოდ ერთი ან ორი თვის პერიოდში. კი, შეიძლება იყოს რაღაც დამოკიდებული პოლიტიკურ ვითარებასთან, მაგრამ როგორც კი ეს პერიოდი მთავრდება, საზოგადოება ხომ ისევ ძველ კალაპოტს უბრუნდება.

**— ბოლო დროს რასაც ვაკვირდებით, ძალიან ხშირია მკვლელობა ცეცხლსასროლი იარაღით, გამოდის, რომ ადვილად ხელმისაწვდომი გახდა?**

— როდესაც ძალადობაზე ვსაუბრობთ, ძალადობის ერთ-ერთი ფორმა არის იარაღის გამოყენებით სიცოცხლის და ჯანმრთელობის ხელყოფა, აქვე დავამატებდი, რომ არა მხოლოდ ცეცხლსასროლი, ცივი იარაღით ძალადობის შემთხვევებიც საკმაოდ ხშირია და ამ სიხშირის საზომი არ არსებობს, რამდენიმეთვიანი პერიოდიც რომ ავიღოთ განსახილველად, მაინც არ გამოდგება ზოგადი ტენდენციის შესაფასებლად.

ასე რომ, არის ხშირი, მაგრამ რატომ — ვერ გეტყვით. რომელიღაც კონკრეტული პერიოდი რომ ავიღოთ, ამას შეიძლება გამოვუძებნოთ ახსნა; მაგალითად ამა და ამ თვეში ცეცხლსასროლი იარაღით მკვლელობა გახშირდა იმიტომ, რომ რომელიღაც სამხედრო ნაწილიდან მოხდა იარაღის გადინება — მსგავსი შემთხვევები საქართველოშიც იყო ხოლმე, საბჭოთა პერიოდში.

ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილ მკვლელობებსაც ვერ განვაზოგადებთ, რადგან მნიშვნელობა არა აქვს თვითნაკეთია თუ — ქარხნული, სატაბელო თუ — ავტომატური, სამხედრო-საბრძოლოა თუ — სპორტული; კრიმინოლოგიისთვისაც არ არის ეს საინტერესო — საინტერესოა დანაშაულებრივი ქცევა — ძალადობა, რომელიც ჯერ კიდევ რჩება გამოწვევად.

**— ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს?**

— ეს არის ძალიან რთული და კომპლექსური ღონისძიებები, რაც რა თქმა უნდა, პირველ რიგში, უნდა იყოს სოციალური ფონის გაუმჯობესებისკენ გადადგმული ნაბიჯები; რაც შეეხება კრიმინალურ მხარეს - ეს არის პროფილაქტიკური სამუშაოები, საგანმანათლებლო-შემეცნებითი საქმიანობა და ყველა ის მეთოდი, რომელიც ძალადობას, როგორც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას, გახდის მიუღებელს სულ უფრო მეტ ადამიანში.

**— ძალადობაზე მსჯელობისას საზოგადოებაში ყოველთვის მოიძებნება არცთუ მცირე რაოდენობის ხალხი, რომელიც ამბობს - წინა ხელისუფლების დროს ციხეში ისეთი მდგომარეობა იყო, რომ შიშით დანაშაულს ვინ ჩაიდენდა, ახლა ციხეში შესვლის აღარ ეშინიათ და ამიტომაც გახშირდა ძალადობის ფაქტები. ბევრი ამ მოსაზრებას არ იზიარებს, მაგრამ გამოდის, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი „მკაცრი ხელის" მომხრეა?**

— კანონის ფარგლებში მოქმედება არის სახელმწიფოს ვალდებულება, იქნება ეს ადამიანი გისოსებს გარეთ თუ ციხეში. ის, რომ ციხეში იყოს ძალადობა და ამით გარეთ პრობლემა მოგვარდეს, საფუძველშივე არასწორია და არადემოკრატიული.

**— გამოდის რომ, სახელმწიფომ თვითონვე უნდა იძალადოს კანონზე იმისთვის, რომ გისოსებს მიღმა ძალადობა არ იყოს? საბოლოო ჯამში ხომ ძალადობა ისევ ძალადობას შობს?**

„მკაცრ ხელს" რაც შეეხება — ესეც ტოტალიტარიზმის ასოციაციას ტოვებს. თუ დანაშაულის პრევენციაზეა ლაპარაკი, ან ჩადენილი დანაშაულის გახსნაზე, ამ მხრივ, არ მგონია სასაყვედურო იყოს ბოლო 5 წლის განმავლობაში, ან მანამდე.

**— მაგრამ რაც იწვევს ამას, იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფო სხვადასხვა ინტენსივობით ატარებს პრევენციულ ღონისძიებებს, ჩადენილ დანაშაულზე რეაგირებს და ა.შ. რა შეიძლება იყოს ამისი მიზეზი? მივდივართ ისევ იქამდე, რითაც დავიწყეთ საუბარი და ეს არის სოციალური ფონი.**

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არის ის მთავარი განმაპირობებელი, რომელიც გავლენას ახდენს იმ სოციუმზე, რომელშიც ვცხოვრობთ, რომლისთვისაც ძალადობა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად იქცა.

ელემენტარულია — არსებობს საგზაო მოძრაობის წესები, არსებობს საგზაო ნიშნები, რას ვაკეთებთ ძალიან ხშირად? — გადავდივართ გზის იმ ნაწილზე, რომელიც ჩვენთვის კომფორტულია და იმ დროს, როდესაც გვჭირდება — ეს ნიშნავს, რომ ვძალადობთ კანონზე.

სხვა სხვანაირად ძალადობს კანონზე, იქ სასამართლო გაჭიანურდა და ამიტომ, ვიღაცამ ჩათვალა, რომ თვითონ უნდა გადაჭრას პრობლემა და ა.შ. კრიმინოლოგიურად ეს ძალიან კომპლექსური თემაა და არაერთი კვლევის თუ სამეცნიერო ნაშრომის საგანი ყოფილა.

**ესაუბრა**
**ლალი ზირაქიშვილი**

# განსაკუთრებით დიდი ოდენობით უაქციზო საქონლის გადაზიდვის ფაქტზე ორი პირი დააკავეს!

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევისა და მარკირებას დაქვემდებარებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვის ფაქტზე, ორი პირი დააკავეს.**




გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული პირები, „DAF"-ის მარკის ავტობუსში მოწყობილი სამალავებით, საბაჟო-გამშვები პუნქტი „სარფის" გავლით, საბაჟო კონტროლისგან მალულად, საქართველოს ტერიტორიიდან საბაჟო წესის დარღვევით, ცდილობდნენ, გადაეტანათ დეკლარირებას დაქვემდებარებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით — 48 920 კოლოფი უაქციზო სიგარეტი.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამოღებულია უაქციზო საქონელი, რომლის საბაზრო ღირებულება ჯამში 171 220 ლარს შეადგენს.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-5 და მე-200 მუხლის მესამე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 8-დან 11 წლამდე.

# გურჯაანში 15 წლის მოზარდს ავტომობილი დაეჯახა

**გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბანში 15 წლის მოზარდს ავტომობილი დაეჯახა.**

სკოლის მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

მოზარდს გურჯაანის ჯეო-ჰოსპიტალსში გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.




არსებული ინფორმაციით, მძღოლი მანქანას ნასვამ მდგომარეობაში მართავდა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრასპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია. მათივე ცნობით, მძღოლის ვინაობა დადგენილია.

შემთხვევა გუშინ საღამოს მოხდა.

# გაგრაში რუსი სტუდენტი დაიღუპა



აფხაზეთში კიდევ ერთი ტურისტი დაიღუპა. 20 წლის სარატოველი სტუდენტი გაგრაში ზღვაში დაიხრჩო. მაშველებმა დაღუპულის ცხედარი უკვე იპოვეს. სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

# როგორ გადაიქცა სააკაშვილი მოქალაქეობის არმქონე მოხეტიალე პირად



**ამერიკულ** გამოცემა „Foreign Policy"-ის მიერ გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში გაანალიზებულია ექსპრეზიდენტს და ექსგუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის საქმიანობა საქართველოსა და უკრაინაში. მასში არის მთავარ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობა: როგორ მივიდა მიხეილ სააკაშვილი დღევანდელ მდგომარეობამდე — საქართველოს პრეზიდენტობიდან მოქალაქეობის არმქონე პიროვნებამდე (ავტორი — ემილი ტამკინი).**

მიხეილ სააკაშვილის დამსახურებას აღიარებენ: მან განახორციელა საქართველოს მოდერნიზება და ვესტერნიზაცია, ქვეყანა გარდაქმნა, კორუფცია აღმოფხვრა. მაგრამ დღეს იგი იმ ლიდერების სიმბოლოსაც წარმოადგენს, რომლებმაც უარი თქვეს ლიბერალურ პრინციპებზე ავტორიტარიზმის სასარგებლოდ. **„ის, თუ როგორ მოხვდა საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ასეთ სიტუაციაში, სავსებით ლოგიკურია — თუ მის ინდივიდუალობას და ცხოვრების წესს გავითვალისწინებთ",** — ამბობს მარკ ბერენდტი, „ფრიდომ ჰაუსის" პროგრამების დირექტორი, Foreign Policy-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს, — „მას შეეძლო ევრაზიელი ვაცლავ ჰაველი ყოფილიყო, ლიბერალური პრინციპების ერთგული თუ იქნებოდა... მას ხალხის ნდობის უდიდესი მანდატი ჰქონდა. მაგრამ მან ეს მანდატი იმისთვის გამოიყენა, რომ რაც უნდოდა, იმას აკეთებდა".

ბევრი იმედოვნებდა, რომ მიხეილ სააკაშვილი **„ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყნის მოდერნიზებას მოახდენდა",** — წერს თედო ჯაფარიძე, ექსპრეზიდენტის ყოფილი თანამოაზრე, Foreign Policy-ისათვის გამოგზავნილ ელექტრონულ წერილში, — **მაგრამ იგი, პრეზიდენტობის პირველი ვადის დასასრულ, აშკარად შეეცადა საქართველო პირად სამფლობელოდ გადაექცია".**

თედო ჯაფარიძე მიხეილ სააკაშვილის მთავრობის პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო („ვარდების რევოლუციის" შემდეგ), მაგრამ დღეს იგი საკუთარ თავს ექსპრეზიდენტის თანამოაზრეებთან აღარ აიგივებს. თედო ჯაფარიძე ამჟამად ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მრჩეველია საერთაშორისო საკითხებში. იგი თავის წერილში აღნიშნავს, რომ მისი კომენტარები პირადულია. თედო ჯაფარიძეს კარგად ახსოვს ის დღე, როცა მან და მისმა მეუღლემ მობილური ტელეფონით სარგებლობა შეწყვიტეს, საუბრების მოსმენის გამო. ყოფილი მინისტრი მიხეილ სააკაშვილის მართვის სტილს საბოლოო ჯამში, ავტორიტარულად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ საქართველოს, მისი პრეზიდენტობის პერიოდში, მსოფლიოში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეკავა პატიმრების რაოდენობის მხრივ.

პუბლიკაციის ავტორი საუბრობს ამერიკელ მკვლევარებთან ლინკოლნ მიტჩელთან, მაიკლ ჩეჩირესთან, უკრაინელ უფლებადამცველ მაქსიმ ერისთავთან და სხვებთან, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის შესახებ საკუთარ არგუმენტირებულ თვალსაზრისს გამოთქვამენ.

**„ზუსტად არავინ იცის რა მოხდება 10 სექტემბრის შემდეგ, როცა, მიხეილ სააკაშვილის თქმით, იგი პოლონეთიდან უკრაინაში შესვლას დააპირებს. უკრაინელმა მესაზღვრეებმა უკვე განაცხადეს, რომ მას ქვეყანაში არ შეუშვებენ. არსებობს თუ არა ალტერნატივა პოლიტიკური ცხოვრების დასრულებისთვის? იქნებ უმჯობესია, იჯდეს ბრუკლინში ან ვარშავაში? ან იქნებ რომელიმე უნივერსიტეტში და კვლევით ცენტრში იმუშაოს? მაგრამ მიხეილ სააკაშვილი თავის თავს ასეთ ამპლუაში ვერ ხედავს: „უკრაინელები არ მაპატიებენ იმას, რომ მე ისინი ასე იოლად მივატოვე. ამ მხრივ მე სხვებს არ დავემსგავსები. მთელი ცხოვრება ვცდილობ, რომ მე სხვებივით არ ვიყო",** — ციტირებს ავტორი მიხეილ სააკაშვილის ნათქვამს.

„Foreign Policy" (აშშ)

# __ადღურ არძინბა:__ მხოლოდ შეშლილი თუ იფიქრებს აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებაზე

**„ორთვალა ფორანი ერთადერთი ტრანსპორტია, რომელიც სამხრეთ კავკასიაში ორ გეოსტრატეგიულ ზონას ერთმანეთთან აკავშირებს. ყოველთვის ხალხით სავსე ფორანი ტაატით მიდი-მოდის მდინარე ენგურის ხიდზე, რომლის ერთი ნაპირი საქართველოს — პროდასავლური და ნატოში გაწევრიანების მსურველი ქვეყნის ხელისუფლების მიერ კონტროლდება, მეორე კი — აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მიერ, რომელიც შავი ზღვის 220-კილომეტრიან ნაპირს აკონტროლებს. აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზებია დისლოცირებული — მას შემდეგ, რაც 2008 წელს მოსკოვმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა",** — ასე იწყება ესპანურ გაზეთში გამოქვეყნებული სტატია.

ვრცელ პუბლიკაციაში გადმოცემულია აფხაზეთის კონფლიქტის ისტორია, საომარი მოქმედებების შედეგი, კონფლიქტის მოგვარების მიზნით გამართული მოლაპარაკებები როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით და სხვა მომენტები.

სტატიაში ნათქვამია, რომ აფხაზეთის კონფლიქტი ბევრად განაპირობა ისტორიულმა წანამძღვრებმა — იოსებ სტალინის მიერ სსრ კავშირში გატარებულმა ეროვნულმა პოლიტიკამ.

**„აფხაზეთი მოსახლეობა ამჟამად 250 ათასზე ნაკლებს წარმოადგენს. აფხაზები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ლტოლვილი ქართველების დაბრუნებას (მათი რაოდენობა 200 ათასზე მეტია), თუმცა გალის რაიონში -— ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილზე — რამდენიმე ათეული ათასი დევნილი მაინც დაბრუნდა. ეს მოხდა ჯერ კიდევ 2008 წლამდე, ანუ როცა გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები აფხაზებისა და ქართველების ურთიერთობის ფორმებზე მუშაობდნენ",** — წერს ავტორი.

პუბლიკაციაში საუბარია აგრეთვე საქართველოს მეორე სეპარატისტულ რეგიონზეც — ე.წ. სამხრეთ ოსეთზეც:

**„საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წარუმატებელმა თავდასხმამ სამხრეთ ოსეთზე, რეგიონში სრულიად ახალი გარემოება ჩამოაყალიბა, რაც ყოფილი ავტონომიებისთვის ახალი ეპოქის დაწყებას ნიშნავდა, რუსეთის მიერ მათი დამოუკიდებლობის აღიარებით. რუსეთმა საერთაშორისო დამკვირვებლები ორივე რეგიონის დატოვებაზე აიძულა, შემდეგ სოხუმთან და ცხინვალთან მრავალრიცხოვანი დოკუმენტები — სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური შეთანხმებები გააფორმა. დღეისთვის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განლაგებულ რუსეთის სამხედრო ბაზებში მუდმივად ათი ათასამდე ჯარისკაცი იმყოფება".**

## ქართულ ნაპირზე თანამედროვე მინებიანი ცათამბჯენები და ხალხით სავსე პლაჟებია, აფხაზურ ნაპირზე კი ნანგრევები ჩანს, რომელიც ომს გვახსენებს



სტატიის ავტორი ეხება რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ამასწინანდელ ვიზიტსაც აფხაზეთში და მის შეხვედრას აფხაზ ლიდერთან — პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბასთან. ასევე მოხსენიებულია საქართველოში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის მაიკ პენსის ყოფნაც, რომელმაც განაცხადა, რომ „საქართველო აშშ-ის საკვანძო პარტნიორია რეგიონში" და რომ ვაშინგტონი გმობს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის მეხუთედი ნაწილის ოკუპირებას".

მაიკ პენსის განცხადებამ ქართველი პოლიტიკოსები გამოაცოცხლა და იმედით განაწყო: ისინი ხომ ბარაკ ობამას პრეზიდენტობის ჟამს თავს ამერიკისაგან მიტოვებულად გრძნობდნენ, — აღნიშნავს ავტორი და იქვე ვლადიმირ პუტინის განცხადებასაც ციტირებს: **„ჩვენ აფხაზეთის უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის გარანტი ვართ".**

ავტორი ყურადღებას უთმობს პუტინის ვიზიტის დროს სოციალური დახმარების შესახებ შეთანხმების დადების ფაქტს, რაც აფხაზეთის მოსახლეობას რუსული სოციალური უზრუნველყოფის სიტემით სარგებლობის ნებას აძლევს.

თბილისში აცხადებენ, რომ მოსკოვის ნაბიჯი იმის პასუხია, რასაც თბილისი აფხაზებს სთავაზობს — უფასო სამედიცინო მომსახურებას. ასეთი ახალი პოლიტიკის გატარება, რომელიც „შერიგებისთვის გაწვდილ ხელს" გულისხმობს, საქართველომ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის შემდეგ დაიწყო. თბილისი იმედოვნებს, ყოფილი ავტონომიის მშვიდობიანი ინტეგრირება შესაძლებელია.

**„საქართველოს ერთ-ერთ პრიორიტეტს ტურიზმის განვითარება წარმოადგენს. 2017 წლის დასაწყისიდან ივლისის ჩათვლით, ქვეყანას უკვე ოთხი მილიონი უცხოელი ეწვია. გარდა ამისა, ამერიკული და ევროპული ინვესტიციებით თბილისი შავი ზღვის პორტის ანაკლიის აშენებასაც გეგმავს. ამით საქართველოს სურს როგორც ჩინელი, ასევე აფხაზი ბიზნესმენების ყურადღების მიქცევა, თუმცა სოხუმი, როგორც ჩანს, არანაირ დაინტერესებას არ ამჟღავნებს ქართული გეგმების მიმართ. აფხაზეთის ეკონომიკის მინისტრმა ადღურ არძინბამ განაცხადა, „მხოლოდ შეშლილი თუ იფიქრებს აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებაზე!**

**არადა, ენგურისა და შავი ზღვის აფხაზურ და ქართულ ნაპირებს შორის არსებული პეიზაჟის კონტრასტები მატულობს: ქართულ ნაპირზე თანამედროვე მინებიანი ცათამბჯენები და ხალხით სავსე პლაჟებს ვხედავთ, აფხაზურ ნაპირზე კი ნანგრევები ჩანს, რომელიც ომს გვახსენებს",** — ნათქვამია სტატიაში.

**პილარ ბონეტი,**
„El Pais" (ესპანეთი)

### ივანკა ტრამპს სამეფო პრინცესა შეარქვეს

**ივანკა ტრამპს მეტსახელი აქვს. ამის შესახებ ჟურნალი „ვენითი ფეარი" იტყობინება. დონალდ ტრამპის ქალიშვილს თეთრ სახლში „სამეფო პრინცესა შეარქვეს." როგორც გამოცემა იტყობინება, თეთრი სახლის მაღალჩინოსნებს ტრამპის ქალიშვილისა და სიძის გავლენის გაზრდა არ მოსწონთ და ოფიციალურ შეხვედრებში მათ მონაწილეობას ეტიკეტის დარღვევად მიიჩნევენ.**

### კიმ ჩენ ინს მესამე ბავშვი ჰყავს

**ჩრდილოეთ კორეის ლიდერს მესამე ბავშვი შეეძინა. კიმ ჩენ ინის მეუღლემ, მომღერალმა ლი სოლ ჩჯუმ თებერვალში იმშობიარა, თუმცა მედიამ ამის შესახებ ახლახანს შეიტყო. ბავშვის სქესი და სახელი ჯერჯერობით უცნობია.**

### იაპონიაში სუშის ფესტივალი მოეწყო

**სუშის მოყვარულებისთვის ტოკიოში ფესტივალი მოეწყო. ღონისძიებაში 15 ქვეყნის შეფ-მზარეული იღებდა მონაწილეობას. მთავარი მოთხოვნა 40 წუთში სუშის დაფის ორიგინალურად გაწყობა იყო. დასახელდა საუკეთესო მზარეული. ჟიურის გადაწყვეტილებით, გამარჯვებულად კონკურსის ნორვეგიელი მონაწილე გამოაცხადეს.**

◎ ერთიანი გამოცდების შედეგები

# „წინ სტუდენტობა იჩქარის, მძებნელი გზის და გზის!..“

**ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების თანახმად, წელს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლას 28 ათასი სტუდენტი შეუდგება. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემებით, თავდაპირველად, გამოცდებზე 41 ათასზე მეტი აბიტურიენტი დარეგისტრირდა, თუმცა მათმა ნაწილმა სასკოლო გამოსაშვებ გამოცდებში საჭირო შედეგი ვერ აჩვენა, რის გამოც, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების პროცესს გამოეთიშა. როგორც შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, ტენდენციები წინა წლების მსგავსია, როგორც ჩარიცხვების რაოდენობის მიხედვით, ასევე არჩეული ფაკულტეტების თვალსაზრისით.**

ნია სალუქვაძე უკვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია. ოქროსმედალოსანმა მოსწავლემ ახლა არჩეულ ფაკულტეტზე სწავლის სრული დაფინანსებაც მოიპოვა და სექტემბრიდან სწავლას ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე განაგრძობს. ნიას თქმით, გამოცდების წარმატებით ჩაბარებაში მონდომება და, სასკოლო პროგრამის გარდა, ონლაინ სალექციო კურსების მოსმენა დაეხმარა.

ნია სალუქვაძის მგავსად, არჩეულ ფაკულტეტზე **100%-იანი სახელმწიფო გრანტით სწავლას 1009 სტუდენტი განაგრძობს.** გამოცდაჩაბარებული 28 ათასი სტუდენტიდან **70%-იანი დაფინანსება 1457-მა მოიპოვა, 50%-იანი — 4081-მა, ხოლო ე.წ. უფასო ფაკულტეტებზე 4051 სტუდენტი ჩაირიცხა.** შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში დადებით ტენდენციად მიიჩნევენ იმასაც, რომ,



**ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად, 1047 არაქართულენოვანი აბიტურიენტი გახდა სტუდენტი.**

როგორც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე ივა მინდაძე ამბობს, არჩეულ ფაკულტეტებთან მიმართებით ტენდენცია შენარჩუნებულია. **კვლავ მაღალია ინტერესი ეკონომიკური და იურიდიული ფაკულტეტების მიმართ. უმნიშვნელოდ, მაგრამ იზრდება დაინტერესება საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებით,** რის განმაპირობებელ მიზეზად, შესაძლოა, მივიჩნიოთ ორი ფაქტორი: პირველი — აგრარულ-საინჟინრო სფეროში გაჩენილი სამუშაო ადგილები და, მეორე, ე. წ. სახელმწიფო დაფინანსება. **2013 წლიდან, განათლების სამინისტროს ინიციატივით, მიზნობრივად ფინანსდება ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო, სოციალური, ტექნიკური და აგრარული მეცნიერებები.**

**„ეკონომიკა, ბიზნესი, ბიზნესი და ადმინისტრაცია — ეს მიმართულება კვლავაც ძალიან პოპულარულია და ბევრი ადამიანი უკავშირებს თავის მომავალს ამ სპეციალობებს. კვლავინდებურად, პოპულარულია სამართალმცოდნეობა, საერთაშორისო ურთიერთობები, ფსიქოლოგია, ჟურნალისტიკა, სამედიცინო მიმართულებები ბევრი სტუდენტისთვის არის მომხიბვლელი. ნაკლებია, მაგრამ მზარდი ტენდენცია არის საბუნებისმეტყველო, აგრარული, საინჟინრო და, განსაკუთრებით, სამშენებლო სპეციალობების მიმართ“.**

კითხვაზე, მაღლდება თუ არა აბიტურიენტთა ცოდნის დონე წლიდან წლამდე, ივა მინდაძე უპასუხებს, რომ არც გამოსაშვები გამოცდები და არც მისაღებ გამოცდებზე ნაჩვენები შედეგები არ არის ამის ინდიკატორი. გამოცდების ტესტები მთლიანი პოპულაციის საშუალო ცოდნის დონის შესაბამისად დგება. თუმცა, როგორც საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევებიც ცხადყოფს, განათლების დონე სახარბიელო არ არის.

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის განათლების სპეციალისტი თამარ მოსიაშვილი, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წელს ნაჩვენებ შედეგებთან დაკავშირებით, მიიჩნევს, რომ ტენდენციები შენარჩუნებულია და უმჯობესი იქნებოდა, თუ უფრო მეტი აბიტურიენტი საბუნებისმეტყველო სპეციალობებს აირჩევდა სამომავლო პროფესიად. ამასთან, მისი თქმით, ერთია გამოცდების ჩაბარებით მიღებული სიხარული და მეორეა ის, თუ რა სახის უმაღლეს სასწავლებლებში უწევთ სტუდენტებს სწავლის გაგრძელება. ვინაიდან სწავლის დაწყებიდან მალევე ხდება ხოლმე განხიბვლა, უმაღლესი სასწავლებლების არსებული ვითარების გამო.

**ნინო ხარაძე**

◎ გასავალ-შემოსავალი

# ბიუჯეტის დეფიციტის პერსპექტივები

**სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სოციალური გასავლის, მათ შორის, პირველ ყოვლისა, კოალიცია „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი მიღწევის — საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისა, დიდი წილი, არც ახლო მომავალში და არც გრძელვადიან პერსპექტივაში, მისი შემცირების შესაძლებლობას არ იძლევა. ეს კი, არსებითად, იმას ნიშნავს, რომ საბიუჯეტო სახსრების დაზოგვაზე მიმართული დიდად დაანონსებული „ქამრების შემოჭერის პოლიტიკის“ რაიმე თვალსაჩინო შედეგს კარგა ხნის მანძილზე არ უნდა ველოდოთ.**

ასეთი გახლავთ საექსპერტო კვლევის „სახელმწიფო ხარჯების მიმოხილვის“ დასკვნა, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაკვეთით მსოფლიო ბანკის სპეციალისტებმა მოამზადეს.



მაგრამ, უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის სოლიდური სტატიები ამით არ ამოიწურება — დიდ ხარჯს მოითხოვს დაგეგმილი ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭირო კაპიტალური დაბანდებები. ასევე სოლიდური ხარჯი იქნება გასაწევი საპენსიო უზრუნველყოფაზე, რომლის რეფორმირების პროცესი ახლო მომავალში უნდა დაიწყოს.

ამასთან, ექსპერტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ, ფისკალური პოლიტიკის მოდერნიზების პირობებში, რაც გადასახადების აკრეფის ესტონურ მოდელზე გადასვლაში გამოიხატება, რომელიც ბიზნესის განვითარების უდავოდ ხელშემწყობი ფაქტორია, ასევე შემოსავლის საგრძნობი ზრდაცაა მოსალოდნელი.

არადა, ისიც უნდა ითქვას, რომ კვლევის ავტორები იმასაც მიუთითებენ, რომ მოგების გადასახადის აკუმულირების სტრუქტურაში ცვლილება მხოლოდ მოსახლეობის შეძლებული უმცირესობისთვისაა სარგებლის მომტანი. რაც შეეხება მცირეშემოსავლიან, ან, სულაც, სოციალურად გაჭირვებულ ფენებს, საწვავზე ფასების ზრდა, რასაც ავტომატურად ყველა სახეობის სურსათზე ფასების მატება მოყვება, ძალიან ცუდად იმოქმედებს.

თუმცა კი აღნიშნულ რეფორმას, ასე ვთქვათ, ერთგვარი „ინერციის პერიოდიც“ აქვს, ამდენად **უახლოეს 2018-19 წლებში საგადასახადო შემოსავალის კვლავ შემცირებაა მოსალდნელი, ვინაიდან დროის ამ მონაკვეთში მოგების გადასახადთან დაკავშირებული შეღავათები რეალურად აისახება მის მოცულობაზე**. ყოველივე ამის გათვალისწინებით, საერთაშორისო ექსპერტები საგადასახადო რეფორმის რეალურ დადებით შედეგებს 2020 წლიდან ელიან, თანაც იმასაც აღნიშნავენ, რომ ფისკალური რისკების შესამცირებლად გარკვეული ღონისძიებების გატარებაცაა აუცილებელი.

მართალია, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის პარალელურად საქართველოს მთავრობა ამ ვადისთვის (ანუ 2020 წლისთვის) შემუშავებული ოთხპუნქტიანი გეგმის განხორციელებით ბიუჯეტის დეფიციტის 3 პროცენტამდე ჩამოყვანას კი გეგმავს, მსოფლიო ბანკის ექსპერტებს განსხვავებული შეხედულება აქვთ. კერძოდ, კვლევაში აღნიშნულია, რომ **რეგიონში პოლიტიკური და შესაბამისად, ეკონომიკური პერსპექტივების ბუნდოვნობისა და გაურკვევლობის პირობებში, საქართველოში საბიუჯეტო შემოსავლისა და ფისკალური ბალანსის დონის დაწევაა მოსალოდნელი.**

**ოთარ ტურაბელიძე**

## განცხადება

2017 წლის 20 ოქტომბერს, 14 საათზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქუჩა №1) გაიმართება მდ. ავანისხევზე მშენებარე ავანი ჰესის პროექტში შეტანილი ცვლილების (ჰესის სააგრეგატო შენობის ადგილმდებარეობის ცვლილება) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობაში შეტანილი ცვლილება ითვალისწინებს ავანი ჰესის სააგრეგატო შენობის გადატანას ძველი ადგილიდან ხეობის შედარებით ზედა ნიშნულზე (ამ ეტაპზე სააგრეგატო შენობის მშენებლობა არ დაწყებულა და ძველი სამშენებლო უბანი ხელუხლებელია).

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში - ქ. ყვარელი, კუდიგორის ქუჩა №1;**
- **შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი** №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- **გიორგი ბჟალავა. ტელ: 595287560;** E-mail: goga@gamma.ge ;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

**შპს „ენერგო ინვესტის“ ადმინისტრაცია**



# „ახმეტელის თეატრის“ განახლებული მეტროსადგური გაიხსნა

**თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განახლებული მეტროსადგური „ახმეტელის თეატრი“ გახსნა. რეაბილიტაციის ფარგლებში განახლდა სადგურის ქვედა და ზედა ვესტიბიულების ინტერიერი, გარემონტდა დახრილი გვირაბი.**

**სადგურში დამონტაჟდა ახალი საოპერატორო ჯიხურები და ტურნიკეტები. ასევე შეიცვალა მეტროსადგურში განთავსებული მიმართულების მაჩვენებლები. სადგურის რეაბილიტაცია 2016 წელს დაიწყო და 2017 წლის აგვისტოში დასრულდა.**



◉ ეს წვრილმანი არ არის

# ძაღლი ადამიანის მეგობარი თუ...

**ქართველმა კაცმა უხსოვარი დროიდან მოიშინაურა ძაღლი, დაიმეგობრა და თავისი ოჯახის დაცვაც მიანდო. ამიტომაცაა, რომ მის ერთგულებაზე არაერთი მხატვრული ნაწარმოებებია შექმნილი, გადაუღიათ კინოფილმებიც, თუმცა, გადაჭარბებული დამოკიდებულებითა და ლოიალობით, განსაკუთრებით ბოლო დროს, ამ ოთხფეხა მეგობრისაგან, არცთუ იშვიათ შემთხვევებში ჩვენ თვითონ ვხდებით დასაცავები.**

აქსიომაა – ადამიანი ექიმთან იმიტომ მიდის, რომ გამოიკვლიოს საკუთარი ჯანმრთელობა, ექიმმა დაუდგინოს ზუსტი დიაგნოზი, რათა მერე, როგორც კვალიფიციურმა სპეციალისტმა, ამ დაავადებისგან იხსნას ავადმყოფის ჯანმრთელობა, ხოლო მავანნი, ცხოველთა დაცვის საზოგადოებები, მხოლოდ დიაგნოზის დასმით კმაყოფილდებიან: – დავიცვათ ოთხფეხა მეგობრები, მაგრამ იმას კი არავინ არ გვასწავლის, მათი აგრესიისაგან როგორ დავიცვათ საკუთარი თავი.



აგრერიგად მომრავლებული მაწანწალა ძაღლების ყოველდღიური გნიასით, ღამღამობით მათი განუწყვეტელი ღრიანცელით, გადაბმული ყეფით ხომ მოსახლეობა სერიოზულადაა შეწუხებული.

კარგია, რომ მიღებული იქნა კანონი – ღამის საათებში ზედმეტი ხმაურის შეზღუდვის შესახებ, მაგრამ, აბა გადავხედოთ მუნიციპალურ ცენტრებს, რა დღეშია მოსახლეობა, განსაკუთრებით, ხშირ დასახლებებში, მრავალსართულიანი კორპუსების ეზოებში, სანაგვე ყუთების სიახლოვეს, დასასვენებელ პარკებთან და ა.შ.

ხალხი დახმარებას ითხოვს, მაგრამ... განსაკუთრებით დილით და შებინდებისას ქუჩებში უკვე სერიოზულად უჭირთ ადამიანებს გასვლა, უფრო – ბავშვებსა და მოხუცებს.

კონკრეტულ ფაქტებზე შეგნებულად არ ვამახვილებ ყურადღებას, რადგან ისედაც ვხედავთ, – პრობლემის შედეგები ასობით დაკბენილ ადამიანშია გამოვლენილი.

ხომ უნდა დაადგეს საშველი ამ პრობლემის მოგვარებას? განა ოთხფეხა მეგობრებთან ჩვენი დამოკიდებულების სხვა გზები არ არსებობს? მარტო შეშფოთებებს რომ აფრქვევენ ჩვენი ტელევიზიები მათ მიმართ გამოხატული „ველური", „არაადამიანური", „სადისტური" მოპყრობების გამო, ოდესმე თუ გამოუხატავთ დაზარალებულების მიმართ თავიანთი გულისწყრომა, განა ერთხელ მაინც არ უნდა ექციათ განხილვის საგნად ეს პრობლემა? პრობლემა მართლა სერიოზულია და მისი დაძლევის გზები მთავრობასთან ერთად, უპირველესად, ჩვენმა საინფორმაციო საშუალებებმაც, განსაკუთრებით – ტელევიზიებმა უნდა ეძებონ.

დრო იყო მაწანწალა ძაღლების პრობლემას ოფიციალურად ტყვიით წყვეტდნენ, ეს, ცხადია, არაადამიანური საქციელი იყო, მაგრამ არც ისაა კარგი, მაწანწალა ძაღლების მომრავლებით, ადამიანებს პრობლემები რომ ექმნებათ. კარგია, კანტიკუნტად, აქა-იქ, დიდ ქალაქებში რომ გაჩნდა მაწანწალა ძაღლებისთვის თავშესაფრები, მაგრამ ამით პრობლემა არ გადაწყდება. საჭირო და აუცილებელია ყველა მუნიციპალიტეტში თუ არა, რეგიონულ ცენტრებშიც შეიქმნას ანალოგიური თავშესაფრები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოს შესაბამისი ასიგნებანი. ამისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად, განსაკუთრებით, არასამთავრობებმაც უნდა იზრუნონ, რათა მათ მეტი საშუალებები გააჩნიათ ინვესტიციების მოზიდვისათვის თავიანთი ზემდგომი დონორი ორგანიზაციებიდან. ამის აუცილებლობა კარგა ხანია დადგა და ხვალ შესაძლებელია პრობლემამ უფრო სავალალო შედეგებამდეც მიგვიყვანოს. ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, – აღირიცხოს ყველა მოქალაქის საკუთრებაში არსებული ოთხფეხა მეგობრები (იშვიათ შემთხვევაში, მაგრამ ზოგან ეს კეთდება), დაინომროს (დაიბირკოს) და ოფიციალურად მათვე დაეკისროთ პასუხიმგებლობა, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ვერ მიხედავენ და ამის გამო ისინი, მაწანწალა ძაღლების სახით, ქუჩაში აღმოჩნდებიან, იმათ პატრონებს დაუწესდეს საჯარიმო სანქციები; თუ კი შემდგომი მოვლა-პატრონობისთვის ისინი გადაწყვეტენ მათ თავშესაფრებში მოთავსებას, მათთვის ასევე დაწესდეს ძაღლების შენახვის ერთჯერადი გადასახადი და შემდეგ გათავისუფლდნენ მათზე პასუხისმგებლობისგან. ამავდროულად, თუ მოქალაქის კუთვნილებაში არსებული ძაღლი დაკბენს ნებისმიერ მოქალაქეს, მისი მკურნალობის ხარჯი დაეკისროს მის მეპატრონეს.

ვფიქრობთ, ეს საკითხი ფართო მსჯელობის საგნად უნდა იქცეს და გათვალისწინებული იქნას მოქალაქეთა მხრიდან ყველა საინტერესო რჩევა, რაც ამ პრობლემის მოგვარებას შეუწყობს ხელს და არ დააზარალებს ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ნორმებს. ყოველივე ამან უნდა მიიღოს საკანონმდებლო ხასიათი და ძაღლი – ჩვენი „ოთხფეხა მეგობარი" ვაქციოთ ჩვენს ნამდვილ მეგობრად და არა მტრად!

**ავთანდილო ბერიძე.**
**ახალციხე**

## წმინდა ნიკოლოზის ულამაზეს ეკლესიას ამახინჯებენ



კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ყოფილი დირექტორი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი ყინწვისში მიმდინარე მშენებლობაზე წერს:

**„ვიყავი ყინწვისში, გაჩაღებულია მშენებლობა მონასტრის გარშემო, ისე, რომ წმ. ნიკოლოზის ულამაზეს ეკლესიას თავზე ადგამენ უშველებელ, საეჭვო ღირებულების, რუსული სილუეტის მრავალგუმბათიან კომპლექსს, აგრესიულს და უსაშველოდ დიდს. ძველი მონასტრის ეზოში ხომ ახალი, ტორტივით გაფორმებული შეუსაბამო ტაძარია ჩაკვეხებული. სადაა მოწიწება, სადაა წინაპართა პატივისცემა, სადაა სილამაზის დანახვის უნარი. სიბრმავე და თვითნებობა მეფობს",** – წერს ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

## სიღნაღში ძაღლების თავშესაფრის მეპატრონეს სცემეს

როგორც სოციალური ქსელის ერთ-ერთი მომხმარებელი წერს, მატილდა ნასვამმა ბიჭმა სცემა. მისი ინფორმაციით, ბიჭი 17 წლის ძაღლს ხმამაღლა აგინებდა, რა დროსაც თავშესაფრის მეპატრონემ ძაღლის დაცვა სცადა, სწორედ ამ დროს ნასვამმა ბიჭმა მასზე იძალადა.

**„თბილისელმა ნაბიჭვარმა სცემა და იმალებაო. ბებია-ბაბუა ჰყოლია სიღნაღში – ესაა რაც ვიცით. ბიჭი ნასვამი ყოფილა და შარზე. ჯერ „ბიჭიკოს" გადაკიდებია, ბიჭიკო ძლივს დადის, 17 წლის ძაღლია, ხმამაღლა აგინებდაო, მერე „მატილდა" გამოსარჩლებია და იმისთვისაც უგინებია და შელაპარაკებისას ორჯერ ზედიზედ მუშტი დაურტყამს სახეში. ხელჩრთულ ომში გადასულა. 112 თვითონ მატილდამ გამოიძახა. ყველაზე ცუდი ისაა, რომ მატილდას უმცროსი შვილი ახლდა. წარმოიდგინე რა დღეში ჩავარდებოდა ბავშვი",** – წერს ერთ-ერთი მომხმარებელი.



როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში „ჯი-ეიჩ-ენ"-ს განუცხადეს, გამოძიება სსკ-ს 126-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ძალადობას გულისხმობს. მათივე ინფორმაციით, დაზარალებულს უტარდება ექსპერტიზა. დამნაშავის ვინაობა ცნობილია.

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის* შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების" შესაბამისად. თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელ (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი ( ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით,რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1 -ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ.შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

**1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2018 წლისთვის** **ცხრილი 1**

| № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელ. ნომერი, მობ. ნომერი, ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.) | **მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი ( დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | შპს ,,მამედ" | მარნეული, სოფ ყიზილაჯლო | (0357) 22-61-57; 592-35-03-55; mamed1947@mail.ru | საყოფაცხოვრებო 1 550 000<br>არასაყოფაცხოვრებო 350 000 | საყოფაცხოვრებო 35.59 - 48.3<br>არასაყოფაცხოვრებო 88.98 |

*თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც,მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

**შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თვითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი) - ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. № 19, +995 032 2 42 01 80

◉ წინ, საქართველოვ!

# ორი „ოქრო“ და ერთი „ბრინჯაო“

**პარიზში დამთავრდა მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი. შეჯიბრების ბოლო ორი დღე თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს დაეთმოთ. საფრანგეთის დედაქალაქში საქართველოს ჰიმნი ორჯერ აჟღერდა — ჯერ გენო პეტრიაშვილის (125 კგ), შემდეგ კი ზურაბ იაკობიშვილის (65 კგ) გამარჯვების აღსანიშნავად. ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (61 კგ) მესამე ადგილს დასჯერდა.**



23 წლის სამაჩაბლოელმა პეტრიაშვილმა ზედიზედ სამი შეხვედრა ვადაზე ადრე დაამთავრა: რუსეთის ნაკრების წევრ ანზორ ხიზრიევს 4 წუთში აჯობა — 13:2, კანადელი კორეი ჯარვის დამარცხებას 2 წუთი და 24 წამი მოანდომა (10:0), ნახევარფინალში სომხეთის სახელით მოჭიდავე ლევან ბერიანიძეს 3 წუთსა და 36 წამში 12:2 სძლია და გადამწყვეტ შეხვედრაში ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულს, მსოფლიოს ორგზისა და ევროპის ოთხგზის ჩემპიონ ტაჰა აკგულს (თურქეთი) დაუპირისპირდა. პაექრობა დრამატული აღმოჩნდა: თავიდან თურქი დაწინაურდა 4:0, მერე პეტრიაშვილმა გაათანაბრა ანგარიში და წინაც გაიჭრა 4 ქულით. აკგულმა ბოლო წუთზე წონასწორობა აღადგინა და ჩემპიონობასთანაც ახლოს იყო, მაგრამ ბოლო მომენტში ქართველმა ფალავანმა მაინც შეძლო ტიტულოვანი მეტოქის ჩოქბჯენში გადაყვანა, გაიმარჯვა 10:8 და ჩემპიონობაც მოიპოვა.

ამ წონაში კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდა ლევან ბერიანიძე. მსოფლიოს ჩემპიონატში მძიმეწონოსანთა შორის იყო ლონდონის ოლიმპიური თამაშების ფინალისტი, მსოფლიოს (2011) და ევროპის (2012) ბრინჯაოს პრიზიორი დავით მოძმანაშვილი, რომელიც ამჯერად უზბეკეთის სპორტულ ღირსებას იცავდა, მაგრამ პირველივე წრეში იგი ირანელ იადოლაჰ მოჰებისთან დამარცხდა.

საქართველოს სპორტულ დელეგაციას ოქროს მეორე მედალი ყვარლელმა ზურაბ იაკობიშვილმა მოუტანა. იგი ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია და მაისში სერბულ ხალიჩაზე გამართული ევროპირველობის ოქროს შანსი ნახევარფინალში რუსეთის ნაკრების წევრ ილიას ბეკბულატოვთან მარცხით დაკარგა. მას მერე ჩრდილოელთა გუნდში ადგილი ალან გოგაევმა დაიჯავშნა. პარიზში ქართულ-რუსული გზები ისევ ნახევარფინალში გადაიკვეთა. მანამდე 25 წლის ქართველმა მოჭიდავემ ორი მეტოქე დაჯაბნა — ინდოელი ბაირანგ ბაირანგი (6:5) და თურქი მუსტაფა კაია (წმინდად). იაკობიშვილისა და გოგაევის შეხვედრაში რუსეთელი 3:1 დაწინაურდა. გონგამდე დარჩენილ სამ წამში (!) ზურაბმა მეტოქე ჩოქბჯენში გადაიყვანა, ორთაბრძოლა ფრედ დასრულდა — 3:3 და ბოლო ორი ქულის უპირატესობით ქართველი ფალავანი ფინალში გავიდა, იქ კი პოლონეთის ნაკრების წევრს, ევროპის შარშანდელ ჩემპიონ (70 კილოში) მაგომედმურად გაჯიევს მოუგო 3:1 და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. დაჯილდოებისას საქართველოს ჰიმნის შესრულების შემდეგ ოსმა გოგაევმა და დაღესტნელმა გაჯიევმა, იაკობიშვილზე გაბრაზებულებმა, სამსახსოვრო სურათის გადაღება იუარეს (აი, ჩვენი დარდიც ეგ იყოს!).

საქართველოს ნაკრების გორელი ლიდერი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი პარიზში პირველ ნომრად იყო განთესილი, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა. სტარტზე პალაუელი კრისტიან ეტპისონ ნიკოლესკუ 4 წუთში დაამარცხა (10:0), მერე მას მონგოლი ტუვშინტულგა ტუმენბილეგი მიაყოლა (7:1), მეოთხედფინალში ჩვენებურს რუსეთის ნაკრების წევრმა ხაჯიმურად რაშიდოვმა აჯობა 6:3. დამამშვიდებელში ხინჩეგაშვილმა ამერიკელ ლოგან ჯეფრი შტიბერსა (10:0) და ევროპის სამგზის ჩემპიონ ჩინგიზხან ერდოღანს (რუსეთის ნაკრების ყოფილი წევრი ოპან სატი ახლა თურქეთის სახელით გამოდის, 3:0) სძლია და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა, დამოუკიდებელი ქართული სპორტის ისტორიაში პირველად, მსოფლიოს ჩემპიონატში ორი ოქროს მედალი მოიპოვა და გუნდურში მესამე ადგილი დაიკავა. პირველ-მეორე ადგილები, შესაბამისად, ამერიკელებმა და რუსებმა გაიყვეს.

**ლექსო ცინცაძე**





# სეზონის „ვერცხლის“ გვირგვინი

**კაიაკსა და კანოეში პლანეტის საუკეთესო ნიჩბოსნები მონაწილეობდნენ მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელსაც ჩეხურმა რაჩიცემ უმასპინძლა. 200 მეტრზე ერთადგილიანი კანოეთი შესანიშნავად იასპარეზა მცხეთელმა ზაზა ნადირაძემ, რომელსაც 2 სექტემბერს 24 წელი უსრულდება. საკვალიფიკაციო ეტაპზე მან პირველი ადგილი დაიკავა და პირდაპირ ფინალში მოხვდა. გადამწყვეტ პაექრობაში მედლებისთვის ცხრა უძლიერესი სპორტსმენი (ესპანელი ალონსო ბენავიდესი, ყაზახი ტიმურ ხაიდაროვი, უნგრელი ჯონათან ჰაიდუ, რუსი ალექსეი კოროვაშკოვი, ირანელი ადელ მოჯალალიმოჩადამი, ქართველი ზაზა ნადირაძე, ბელარუსი არტსიომ კოზირი, ლიტველი ჰენრიკას ჟუტაუტასი და პოლონელი მარეკ მიხალ ლუბნიევსკი) იბრძოდა. ქართველი ნიჩბოსანი სტარტიდანვე დაწინაურდა, მაგრამ ფინიშთან პირველი იყო 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონი არტსიომ კოზირი (38.161). ზაზა ნადირაძე, რომელსაც ზედ ფინიშზე ნავი ამოუყირავდა, სლავ კანოისტს 0.278 წამით ჩამორჩა და ვერცხლის მედალი ერგო. 38.605 წამით ადელ მოჯალალიმოჩადამი მესამე იყო.**

ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ზაზა ნადირაძემ არაერთ წარმატებას მიაღწია. იღბლიანი იყო მისთვის 2014 წელი — ერთადგილიანი კანოეთი გერმანიაში ევროპის ჩემპიონატზე მე-10 ადგილი დაიკავა და ბაქოს პირველი ევროპული თამაშების ლიცენზია ერგო. იმ შეჯიბრებიდან ორი კვირის თავზე უნგრულ სეგედში 23-წლამდელთა მსოფლიოს პირველობაზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. 2016 წლის 18-19 მაისს გერმანულ დუისბურგში ნიჩბოსანთა ევროპის ბოლო სალიცენზიო ტურნირში 200 მეტრზე ერთადგილიანი კანოეთი რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადის საგზური მოიპოვა. მცხეთელი კანოისტი მესამე ქართველი ნიჩბოსანია ფოთელი ვიქტორ კრატასიუკისა (1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადაზე ორადგილიანი ბაიდარათი ბელარუს ნიკოლაი გორბაჩოვთან ერთად ჩემპიონი გახდა) და მცხეთელი გიორგი ნასყიდაშვილის (მიუნხენში ნიჩბოსნურ სლალომში 31-ე იყო) შემდეგ, რომელმაც ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზა და მეხუთე ადგილზე გავიდა.

2016 წელს გერმანულ დუისბურგში ზაზამ მსოფლიოს თასის ეტაპზე ერთადგილიანი კანოეთი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა და 23-წლამდელთა ევროპის პირველობაზეც მესამე იყო. არნახულად უხვმოსავლიანი გამოდგა წლევანდელი სეზონი: მსოფლიოს თასის მეორე ეტაპზე მეორე ადგილი, პლოვდივში ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი და აი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩეხეთში მსოფლიოს ჩემპიონატი და სეზონიც ვერცხლის მედლით დააგვირგვინა...

**ლაშა დიდია**

◉ ფორუმის წინ



# ზუროსის რჩეულნი

**საქართველოს ეროვნული ნაკრების ბერძენმა თავკაცმა ილიას ზუროსმა დაასახელა 12 მოთამაშე, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე სამშობლოს ღირსებას დაიცავს. განაცხადშია გუნდის კაპიტანი ზაზა ფაჩულია, რომელმაც ტრავმის შემდეგ რეაბილიტაციის პროცესი გაიარა და სრული დატვირთვით ვარჯიში დაიწყო. ექიმები ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ფაჩულია 31 აგვისტოს ლიტვასთან დაპირისპირებას სრულ მზადყოფნაში შეხვდეს.**

ზაზა ნაკრებისთვის უმნიშვნელოვანესი მოთამაშე, შეუცვლელი ფიგურაა. „გოლდენ სტეიტის“ ცენტრის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ ადგილობრივი გულშემატკივრები და ჟურნალისტები.ზაზა ნბა-ს მოქმედი ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ვარსკვლავია და მის მიმართ ყველას გამორჩეული ინტერესი აქვს.

საოცარი სიამაყის განცდა გეუფლება, როცა ხედავ ქართველ კალათბურთელზე, შენი ნაკრების კაპიტანზე უცხოელი ჟურნალისტები თუ გულშემატკივრები როგორი მოწიწებით და პატივისცემით ლაპარაკობენ. საქართველოს ნაკრები გუშინ თელ ავივში სასტუმრო „ჰილტონში“ დაბინავდა.

| # | სახელი | გვარი |
|---|---|---|
| 3 | მაიკლ | დიქსონი |
| 4 | გიორგი | გამყრელიძე |
| 6 | ანატოლი | ბოისა |
| 7 | ზაზა | ფაჩულია |
| 8 | გიორგი | ცინცაძე |
| 9 | გიორგი | შერმადინი |
| 10 | დუდა | სანაძე |
| 11 | მანუჩარ | მარკოიშვილი |
| 17 | მიხეილ | ბერიშვილი |
| 23 | თორნიკე | შენგელია |
| 35 | გოგა | ბითაძე |
| 99 | ილია | ლონდარიძე |

| | |
|---|---|
| ილიას ზუროსი | მთ. მწვრთნელი |
| იურიცა გოლემაცი | სისტენტი |
| კოტე ტუღუში | ასისტენტი |
| ირაკლი ხოშტარია | ასისტენტი |

ევროპირველობას 4 ქვეყანა - თურქეთი, ისრაელი, ფინეთი და რუმინეთი მასპინძლობს. ისრაელში „ბ“ ჯგუფის მატჩები გაიმართება, რომელშიც ლიტვა, ისრაელი, იტალია, გერმანია, უკრაინა და საქართველო ითამაშებენ. ტურნირის 24 მონაწილე გუნდი 4 6-გუნდიან ჯგუფშია გადანაწილებულიდა პლეი ოფის საგზურს 4 საუკეთესო მოიპოვებს. უძლიერესი 16 ნაკრები სტამბოლში მერვედფინალიდან გააგრძელებს ბრძოლას ჩემპიონობისთვის.

პლეი ოფის პირველ წრეში გუნდები ჯვარედინი სისტემით დაწყვილდებიან. ერთმანეთს „ა“ - „ბ“ და „ც“ - „დ“ ჯგუფების კვალიფიკანტები შემდეგი თანმიმდევრობით შეხვდებიან.

B2 – A3, C1 – D4, A1 – B4, D2 – C3, B1 – A4, C2 – D3, A2 – B3, D1 – C4

საქართველოს ნაკრები თუ ოთხეულში მოხვდა, პლეი ოფში მერვედფინალში მეტოქედ A ჯგუფის გუნდი ეყოლება, ხოლო მეოთხედფინალში უკვე C და D ჯგუფების წარმომადგენელი ელის. ამ ჯგუფში არიან საფრანგეთი, საბერძნეთი და იგორ კოკოშკოვის სლოვენია. დიდი ალბათობით, ჩვენს ნაკრებს რომელიმე მათგანთან დაპირისპირება მოუწევს, თუმცა, ჯერ ჯგუფური ეტაპია დასაძლევი, სადაც ზუროსის გუნდს უმძიმესი მატჩების ჩატარება მოუხდება. პირველი გამოცდა 31 აგვისტოს ლიტვასთან შედგება, გუნდთან, რომელიც ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია. საქართველოს ნაკრების თამაშების ხილვას გულშემატკივარი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში შეძლებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

| ევროპის ჩემპიონატი 2017. 31 აგვისტო - 17 სექტემბერი | |
|---|---|
| A ჯგუფი | B ჯგუფი |
| ფინეთი, ჰელსინკი | ისრაელი, თელ-ავივი |
| პოლონეთი | უკრაინა |
| საბერძნეთი | ისრალი |
| საფრანგეთი | ლიტვა |
| ფინეთი | საქართველო |
| ისლანდია | იტალია |
| სლოვენია | გერმანია |
| C ჯგუფი | D ჯგუფი |
| რუმინეთი, კლუჟ-ნაპოკა | თურქეთი, სტამბოლი |
| ხორვატია | დიდი ბრიტანეთი |
| ჩეხეთი | რუსეთი |
| ესპანეთი | სერბეთი |
| მონტენეგრო | ლატვია |
| რუმინეთი | თურქეთი |
| უნგრეთი | ბელგია |

ენერგოეფექტიანობა

# წყალიც რომ დაიზოგოს და დენიც...

**ბოლო დღეების გაუსაძლისი სიცხეებით დედამიწის სხვადასხვა რეგიონში ათასნაირი სტიქიური უბედურებები — სატყეო ხანძრები, წყალდიდობები, ქარიშხლები, ზოგან კი არნახული სიცივეები, მოსახლეობისა და მმართველი წრეების, კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების სპეციალისტების უდიდეს განგაშს იწვევს. ვითარებას კიდევ უფრო ამძაფრებს მომავალი პერსპექტივებით უაღრესად არადამაიმედებელი მეცნიერული თუ ფუტუროლოგიური პროგნოზები, კლიმატზე კონტროლის საერთაშორისო შეთანხმების მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ახლანდელი პოზიცია, ამდენად ამ მიმართულებით გადადგმული თითოეული ნაბიჯი ყოველმხრივ დიდ ყურადღებას იპყრობს.**

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის (IFC) მოღვაწეობა კლიმატის ცვლილების გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლის კუთხით, რის შედეგად ამ ტიპის ღონისძიებების განსახორციელებლად 10 მილიარდ დოლარზე მეტი ოდენობის ინვესტიციები იქნა მოზიდული.

ამასთან, დედამიწის კლიმატის ცვლილების გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლა არ არის ამ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მოღვაწეობის სტრატეგიული პრიორიტეტი, თუმცა კი სადღეისოდ მას უკვე გაწეული აქვს 15,3 მილიარდი დოლარის კაპიტალდაბანდება. მათ შორის სახსრები იხარჯება ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარებაზე, ენერგოეფექტიანობის ამაღლებაზე, კლიმატის ცვლილებებს შეგუებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების გამოყვანაზე, ასევე ეგრეთ წოდებულ „გონიერი ქალაქებისა“ და „მწვანე სახლების“ მშენებლობაზე.

აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას ორ ათეულზე მეტ ქვეყანაში წყალმომარაგების უდიდეს კომპანიებთან ნაყოფიერი ურთიერთობის მდიდარი გამოცდილება აქვს დაგროვილი, რომელიც, პირველ რიგში, **ენერგოეფექტიანობის** მიმართულებით ხორციელდება. ამის საუკეთესო დასტურია ეს დადებითი ზეგავლენა, რომელსაც ამის შედეგად როგორც ბიზნესი, ასევე გარემო განიცდის. ბევრგან უკვე იზოგება ენერგორესურსების 30 პროცენტი, ასევე მტკნარი წლის ხარჯი კი 80 პროცენტით შემცირდა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სავსებით ნათელია იმ ხელშეკრულების უდიდესი მნიშვნელობა, რომელსაც ახლახან ხელი მოაწერეს მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და საქართველოს უდიდესი წყალმომმარაგებელი კომპანიის „ჯორჯიან ვუოთერ ენდ ფაუერის“ (GWP) წარმომადგენლებმა. **შეთანხმების მიზანია რესურსების ეკონომია, ენერგოეფექტიანობის ამაღლება და გარემოს დაცვა.** კერძოდ, საერთაშორისო ექსპერტები ქართველ სპეციალისტებს საკუთარ საწარმოთა ენერგომომმარაგების მაჩვენებელთა მსოფლიოს სხვა წამყვანი კომპანიების მსგავს მონაცემებთან შედარებით რეკომენდაციებს მისცემენ, რისი საბოლოო მიზანიც საწარმო პროცესის სრულყოფაა, რაც წყლის რესურსისა და ელექტროენერგიის ხარჯვის შემცირების გზით უნდა განხორციელდეს.

ეს ორ მხარეს შორის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პირველი შეთანხმებაა. მისი მნიშვნელობა იმითაა განპირობებული, რომ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების საკითხებში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საკონსულტაციო პროგრამის მიზანია კლიმატის ცვლილებათა შედეგების შერბილება, გარემოს დაცვა, აგრეთვე კომპანიების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება. მის ფარგლებში ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სფეროებში კომპანიებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მოღვაწეობის ეფექტიანობის გასაზრდელად, ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი ღონისძიებები ხორციელდება.

— მართალია, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ გამუდმებით ზრუნავს ეკოლოგიურ უსაფრთხოებასა და მუშაობის ეფექტიანობის ზრდაზე, მაგრამ ახლა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის მხარდაჭერით, ელექტროენერგიით მომარაგების სტაბილობის უზრუნველყოფაზე, მისი მოხმარების დონის შემცირებასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე გაცილებით მეტი რესურსი იქნება მიმართული, — განაცხადა აღნიშნულთან დაკავშირებით „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ გენერალურმა დირექტორმა **გიორგი ცხადაძემ**. — საქართველოს მიზანია 2030 წლისთვის ელექტროენერგიის მოხმარების 17 პროცენტით შემცირება, რომლის მისაღწევად ენერგოეფექტიანობის ხარისხი ეკონომიკის ყველა დარგში უნდა ამაღლდეს.

**ოთარ მერიშვილი**



# 3 წლის ბავშვი, რომელიც მე-4 სართულიდან გადავარდა, კონტაქტური გახდა

**3 წლის ბავშვის მდგომარეობა, რომელიც ზუგდიდის რეფერალური საავადმყოფოს მე-4 სართულიდან გადავარდა, კვლავ სტაბილურად მძიმეა, თუმცა ექიმების ინფორმაციით, ის კონტაქტური გახდა.**

მათივე ცნობით, ჯერჯერობით, დაშავებულისთვის ოპერაციის გაკეთება არ არის სავალდებულო, რადგან იმედოვნებენ, რომ თავის ტვინში გაჟონილი სისხლი ნელ-ნელა გაიწოვება და მცირეწლოვანის მდგომარეობა გაუმჯობესდება.

## გამოსათხოვარი



**მეუღლე ანზორი დანელია, შვილი პაატა დანელია, შვილიშვილები ქეთევან, გიორგი, ლევან დანელიები, რძლები ანი მერაბიშვილი, ნინო დანელია, ქეთინო დრიაევა და მერცია სულაქველიძე, სიძე გივი ჩხაიძე, დისშვილები ხათუნა ჩხაიძე ოჯახით, მაკა ჩხაიძე, ძმის შვილი ირაკლი სულაქველიძე ოჯახით, მანანა სხირტლაძე-დაუშვილისა ოჯახით, მული ცირა დანელია ოჯახით, ნატო დანელია, მურმან შუკაკიძე ოჯახით, ნათია ასათიანი ოჯახით, ლელა წურწუმია, აკაკი მერაბიშვილი იუწყებიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლების მონაწილე, ორი დაღუპული მებრძოლის ირაკლი და მამუკა დანელიების დედის**

### ლუარა ირაკლის ასული სულაქველიძე-დანელიას

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 29,30 VIII. გამოსვენება 31 VIII, 14 სთ. მისამართი: ვარკეთილი-3. 1მ/რ. კორპ. 32.**



**მამა კობა მჭედლიშვილი, მეუღლე მარიკა პაიჭაძე, დედა ნანა ჩხეიძე, მეუღლე ალექსანდრე ჩხეიძე, მეუღლე ნანა მჭედლიშვილი, შვილები ირაკლი, ტატა მჭედლიშვილები, შვილიშვილები ელენე, ლილი, სესილი, ძმა პაატა მჭედლიშვილი, მეუღლე ლალი წამალაიძე, შვილები ნანო, ნიკოლოზი, კატო, ბებია ლილი გორგაძე, ცოლისძმები არჩილ, გურამ მახარაძეები, სიძე ნიკოლოზ რუხაძე, მძახლები თამაზ რუხაძე, მაია წერეთელი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

### ბესო კობას ძე მჭედლიშვილი

**პანაშვიდი 29, 30, VIII, 18 სთ. მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის №51, III სადარბაზო, III სართული, გამოსვენება 31 VIII, 14 სთ. ი. ჭავჭავაძის გამზ.: პატარა სამების ტაძრიდან. დაკრძალვა 15 სთ, საბურთალოს სასაფლაოზე, მაღლივი უნივერსიტეტის მიმდებარედ.**

---

**ზურაბ ამაშუკელი, ანზორ ახვლედიანი, ჯემალ გოგიჩაძე, მიხეილ ესაკია, კობა თოიძე, ირაკლი მეგრელაძე, მერაბ ნიკოლაიშვილი, საბა ჭელიძე, თამაზ ჩხიკვაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი ახალგაზრდა**

### ბესო კობას ძე მჭედლიშვილი

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.**

**შვილი ლევან კენჭაძე, რძალი მედეა ტუღუში, შვილიშვილები რუსუდანი, ლევანი, შვილთაშვილები ანა, თემურ ორჯონიკიძეები, ელენე, ლეო კენჭაძეები, რძალი ნინო ახალაია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

### რუსუდან ივანეს ასული დოლონაძე-კენჭაძე

**პანაშვიდი 31 VIII, 1 IX, გამოსვენება 2 IX, 15 სთ-ზე, მისამართი: წმ. ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი (ყოფილი 5 დეკემბრის ქ.) I კვარტალი, V კორპუსი, VIII სადარბაზო.**

---

**მაია, გურამ ახალაიები თანაუგრძნობენ მძახლებს ლევან კენჭაძეს და მედეა ტუღუშს დედისა და დედამთილის**

### რუსუდან ივანეს ასული დოლონაძე-კენჭაძის

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ უახლოეს ნათესავებს და ოჯახის ახლობლებს.**

## განცხადება

2017 წლის 23 ოქტომბერს, 14 საათზე, ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. თბილისი, ქერჩის ქუჩა №1) გაიმართება განადგურებას დაქვემდებარებული საბურავების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, განადგურებას დაქვემდებარებული საბურავების გადამუშავება და მიღებული რეზინის ფხვნილისაგან მოსაპირკეთებელი ფილების წარმოება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- შპს „რაბერ ტექის“ ოფისში - ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი 6;
- შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

**შპს „რაბერ ტექის“ ადმინისტრაცია**

## შპს „რომპეტროლ საქართველოს“ განცხადება

2017 წლის 25 ოქტობმერს 12 საათზე გაიმართება შპს „რომპეტროლ საქართველოს“ თბილისში აეროპორტსა და ლოჭინის ხევს შორის მდებარე ნავთობპროდუქტების საცავის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს რეკონსტრუირებადი ნავთობპროდუქტების საცავში საწვავის მიღება, შენახვა და რეალიზაცია.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შპს „რომპეტროლი საქართველოს“ (ქ. თბილისი, ვლადიმერ ვეკუას ქუჩა №3, მე-6 სართული) და შპს „ინტექსის“ (ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი №16, მე-2 სართ. ოთახი 203) ადმინისტრაციულ შენობებში.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირები:
გიორგი რობაქიძე ტელ: 555585879;
ზურაბ ნადირაძე ტელ: 599502486;
გენადი უბირია ტელ: 579020110.

**ადმინისტრაცია**

# 8 ყველაზე არაჯანსაღი პროდუქტი, რომელსაც ყოველდღიურად მივირთმევთ

**დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი 8 ყველაზე არაჯანსაღი პროდუქტის შესახებ ავრცელებს ინფორმაციას, რომელსაც ყოველდღიურად მივირთმევთ.**

ცენტრში აცხადებენ, რომ ადამიანები ყოველდღიურად მოიხმარენ იმ კატეგორიის საკვებ პროდუქტებს, რომლებიც ჯანმრთელობისთვის საზიანოა, რაც სხვადასხვა დაავადებების პროვოცირებას იწვევს.

ყველაზე საზიანო საკვები პროდუქტების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

**1. ტკბილი გაზიანი სასმელი:** გაზიანი სასმლის დალევა იგივეა, რაც თხევადი ტკბილეულის მიღება. გაზიანი სასმელი სისმსუქნის ერთ-ერთი მოწინავე გამომწვევი ფაქტორია, რომელიც ასევე ზრდის სიმსივნეების, ჰორმონების დისბალანსის და ნაადრევი დაბერების რისკს. გაზიანი სასმელი არამარტო წონის მატებას უწყობს ხელს, არამედ კარიესსა და კბილების პრობლემასაც იწვევს.

ალტერნატივა: მიირთვით ბლომად წყალი, ჩვეულებრივი უშაქრო გაზიანი სასმელი, ჩაი და ყავა. შეგიძლიათ წყალს ლიმონის ნაჭერიც დაუმატოთ.

**2. შაქარი და შაქრის შემცვლელი:** არსებობენ ადამიანები, რომლებიც შაქრის მაგივრად მის შემცვლელს იყენებენ. მიუხედავად იმისა, რომ შაქრის შემცვლელებს ნული ან დაბალი კალორია აქვს, ჩვენ ჯერ არ ვიცით რამდენად კარგია ის ჩვენი ორგანიზმისთვის. ბოლო წლების გამავლობაში მკვლევრები საკმაოდ ბევრს კამათობენ ამ საკითზე.

ალტერნატივა: დღიურად შეამცირეთ შაქრის მოხმარება. საბოლოო ჯამში, თქვენი ორგანიზმი ამას შეეჩვევა და თავს ბევრად უკეთ იგრძნობთ.

**3. „თარო-გამძლე“ სუნელებ-სანელებლები:** ადამიანები ხშირად იყენებენ პაკეტებში მოთავსებულ კეტჩუპს, მაიონეზს, მდოგვს და სხვა მსგავს პროდუქტებს. ამ პროდუქტების მაცივრის გარეშე გამძლეობა მიუთითებს იმაზე, რომ მათ დამატებული აქვთ საკვების საღებავი, ხელოვნური დამატკბობლები, მარილი, მავნე ცხიმები და ქიმიური საშუალებები.

**4. გადამუშავებული ხორცი:** სოსისი, ბეკონი, ლორი - მკვეთრად ზრდის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, ტიპი 2 დიაბეტისა და სიმსივნეების რისკს.

**5. ცომეული:** ყველაზე ცუდი რამ რაც შეიძლება თქვენს ორგანიზმს შეემთხვეს. ნებისმიერი სახის ცომეული მაღალკალორიულობის გამო მნიშვნელოვნად ვნებს ჯანმრთელობას.

**6. მარგარინი:** ნაჯერი ცხიმები (გვხვდება ცხიმში შემწვარ პროდუქტებში) — ორგანიზმში ზრდის „ცუდი“ ქოლესტერინის დონეს, რაც მომავალში მნიშვნელოვნად ზრდის გულის შეტევის რისკს.

ალტერნატივა: გამოიყენეთ ჯანსაღი კარაქი.

**7. ყველაფერი, რაც ზედმეტად შემწვარია:** მაგალითად ე.წ. კარტოფილი ფრი. ეს პროდუქტი არამარტო ასუქებს, არამედ მაღალ ტემპერატურაზე შეწვის გამო ის შეიძლება ტოქსიკურ-ქიმიურ ნივთიერებებს შეიცავდეს.

**8. პიცა და სწრაფი კვების პროდუქტები:** ერთ-ერთი ყველაზე არაჯანსაღი პროდუქტია. ის მაღალკალორიულ საკვებთა ჩამონათვალს მიეკუთვნება, ვინაიდან გადამუშავებული ხორცით მზადდება. ცომი კი რაფინირებული თეთრი ფქვილით მზადდება.

ალტერნატივა: მოამზადეთ პიცა სახლში, ჯანსაღი პროდუქტებით თუ მეტად არა, არანაკლებ გემრიელი იქნება.



# კონექტიკუტში მარკ ტვენის ფერმა იყიდება



**შტატ კონექტიკუტში ცნობილი ამერიკელი მწერლის მარკ ტვენის (სემუელ კლემენსი) ფერმა-მამული იყიდება. მისი ფასი 1, 85 მილიონი დოლარია.**

მწერალმა ეს მამული თავისი უმცროსი ქალიშვილის ჯეინისთვის 1908 წელს შეიძინა. თავად მწერალიც იქვე მეზობლად ცხოვრობდა.

სახლი რამდენჯერმე გადააკეთეს, მაგრამ ისტორიული იერსახე მაინც არ დაუკარგავს. მისი ფართობი 334 კვადრატული მეტრია.მამულში აგრეთვე პატარა ტბა, საცურაო აუზი ზღვის წყლით და კინოთეატრი მდებარეობს

# ტურისტები 4000 ევროთი დააჯარიმეს



**იტალიაში, სარდინიის სანაპიროზე დასვენებას თავისი წესები აქვს. სულ ახლახან 4 ტურისტი, 4000 ათასი ევროთი დააჯარიმეს. როგორც აღმოჩნდა, მათ სანაპიროდან სუვენირის სახით, ქვიშის წამოღება სურდათ. მაგრამ სარდინიაში სანაპიროების მოსპობა-განადგურებისთვის ფულადი ჯარიმებია დაწესებული.**

ხელისუფლება აცხადებს, რომ ასეთი ჯარიმების დაწესება ტურისტების გულგრილმა დამოკიდებულებამ განაპირობა. მათი დაუდევრობის გამო ზოგიერთი სანაპირო საერთოდ განადგურდა.

მკაცრი ზომები განსაკუთრებით მას შემდგე მიიღეს, რაც 2015 წელს კურორტის აეროპორტში ტურისტებს 5 ტონაზე მეტი უნაკალური ქვიშა ამოუღეს.

იმედია, ამ 4 ტურისტის სათანადო დასჯა, მაგალითი იქნება სხვა დამსვენებლებისთვისაც — აცხადებს სარდინიის ხელისუფლება.

# იტალიაში 6000 წლის ღვინო აღმოაჩინეს



**არქეოლოგებმა სიცილიაში, 6000 წლის წინანდელი ღვინის ნარჩენებს მიაკვლიეს. აქამდე ითვლებოდა, რომ იტალიელებმა ღვინის წარმოება ჩვ.წ. აღრიცხვამდე 1300-1100 წწ. დაიწყეს. ეს აღმოჩენა კი, სავარაუდოდ, იტალიური ღვინის ისტორიას შეცვლის.**

ეს უნიკალური აღმოჩენა ფლორიდის უნივერსიტეტის სპეციალისტებს ეკუთნით, მათ ღვინის ნარჩენებს კუნძულის დასავლეთში, „Monte Cronio“-ს მთებში მდებარე მღვიმეში მიაკვლიეს.

მღვიმეში სპილენძის დოქები იპოვეს, რომლის შიგნითაც ეს უნიკალური ღვინის ნარჩენები აღმოჩნდა. სწორედ დოქის დამზადების თარიღად დასახელდა 6000 წელი.

ეს მიღწევა იტალიური ღვინის კულტურის ისტორიას ძალიან დიდ მნიშვნელობას მიანიჭებს.

# შარლ აზნავურის ღვაწლის აღიარება




**ლეგენდარულ ფრანგ მომღერალსა და არტისტს შარლ აზნავურს ჰოლივუდის „დიდების ბულვარში“ ვარსკვლავი გაუხსნეს.**

93 წლის ფრანგულ-სომხური წარმოშობის მომღერალი (შახნურ-ვარენაგ აზნავურიან) 1924 წელს პარიზში დაიბადა. მისი ალბომები მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში მილიონიანი ტირაჟით იყიდება.

იგი ასევე ცნობილია თავისი ქველმოქმედებით. 1988 წელს სპიტაკის (სომხეთი) დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ, მან საქველმოქმედო ფონდი დააარსა სახელწოდებით „აზნავური და სომხეთი“ და მას შემდეგ სომხეთის რესპუბლიკას დიდი დახმარებას უწევს.

არტისტმა ცერემონიაზე განაცხადა, რომ ძალიან ბედნიერია მისი ღვაწლის ასეთი დაფასებისთის.

**მოამზადა**
**რუსუდან ქოზულიამ**


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს—323
ISSN 2233-3851



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!


**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.4158; ევრო - 2.8548;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1004;
100 რუბლი - 4.0848; თურქული ლირა - 0.6939;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4233;
1000 სომხური დრამი - 5.0445.

**ამინდი 30 აგვისტოსთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +16 | დღე +35 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +10, | დღე +31 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +20, | დღე +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +15, | დღე +30 |
| თბილისი: | ღამე +21, | დღე +34 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge